

# კ ვ ა ლ ი



სალიბრატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამომდის ყოველ კვირა დღეს.

№ 24

ივნისი 5, 1894 წ.


№ 24

შინაარსი: პეტალოცი ან. თ.-სა. — საყურადღებო ამბები. — იულიას, ლექსი რეს-იმერლისა. — გაფრთხილება იმერლისა. — სიტყვა წარმოშობული აკაცის მიერ ქართლის თავად-აზნაურობის წინაშე. — ლედაგცთა შობარობის მეორე ქაღები გერმანიაში გ. თელისა. — კრიტიკა: — პასუნი ქრონიკებს პაჯროსს თ. ჟორდანასს გ. წერეთლისა. — მოამბის პუბლიცისტიკა № 3, 4 პ. პეტრიძისა. — უჩაღი თარხანისა. — ფგ. ინგოროყვა ნ. ჟორდანასის. — რამდენიმე სიტყვა განსვენებულ ვე ნინოქილის შესახებ და. ჯერ-დავითიანისა. განცხადებები.

## პეტალოცი

პეტალოცს იცნობს არათუ უცხო ქვეყნის განათლებული ერი, თვით ჩვენშიაც იშვიათად მოიპოვება, თუნდ ძალიან განვითარებული პირიც არ იყოს, იმისთანა მასწავლებელი, რომ არ გაეფიქროს ამ კაცის სახელი მაინც.

იმას სამართლიანად უწოდებენ სახელად ხალხის განათლების მამად. მართლა, რომ ყველა ობლის, ყველა ლარიბ-ლატაკის



და მთლად მდამიო ხალხის აღმზღელი იყო. ბევრ მის აზრებს, მის ქადაგებებს ჩვენ ცხოვრებაში ჯერ ფესვი არ გაუღვამს და იქნება კიდევ ბევრი დრო გავიდეს, სანამ ისინი განხორციელდებიან ჩვენს ქვეყანაში.

პირველად პეტალოციმ დაანახება მთელ ევროპის საზოგადოებას, რომ სახელომწიფო მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი, როდესაც მდამიო ხალხს მიეცემა განათლება. მას თავისი კერძო ცხოვრება, კერძო მისწრაფება არაჩად მიაჩნდა და თავ-განწირული იყო სხვებისთვის. ამას ხატავს მის ძველზე ამოკრილი სიტყვები: „ყველაფერი სხვისთვის, ხოლო თავი“

ეთისთვის არა რა“. ეს კაცი მითია შესანიშნავი, რომ მის სიტყვას ყოველთვის საქმე მოსდევდა.

მერე იცით ხანგრძლივი შრომისთვის რა ჯილდოს ითხოვდა ეს კაცი? აი, რას ჰქონდა მღაბიო ხალხს: „დიდ ხანს შეეჩერებოდი შერს უბედურ, გაჭირებულ ცხოვრებას და გული ნაღვლით მეცხებოდა.—ჩემო ძვირფასო ხალხო, უნდა გიშველო რითიმე. მე არც დიდი ნიჭის პატრონი ვარ, არც დიდი ნასწავლი, იქნება სასწენებელიც არ ვიყო, მაგრამ მე შევისწავლე შერი ცხოვრება და შემომიწირა ჩემი შერთვის ჩემი ხანგრძლივი შრომა. წაიყოთ რაც მოგეცე და თუ სხვისი ნაწერი უკეთესი იქნას—უკუაგდე ჩემი წიგნი. მაგრამ იცოდე, თუ სხვამ ჩემზე უკეთესი არა ვითხრა რა, მაშინ მოიგონე ჩემი თავგანწირულობა და ერთი ცრემლიც რომ ჩამოაგდო ჩემ საფლავზე, უკეთესი ჯილდო აღარა მიინდა რა ქვეყანაზე“. ასეთი იყო პესტალოცი და ამ ნაირი კაცის ცხოვრების აღწერა ძვირფასად უნდა მიგვაჩვენოს.

პესტალოცი იყო შვეიცარიელი. ის დაიბადა (12 იანვარს 1746 წელს ქალ. ციურხში და იქვე გაატარა მთლად თავისი სიცოცხლე. მამა ხირურგი ჰყენდა. დედა საფლელი ქალი იყო და მთელი ნათესაობა სულ საფლელელები იყვნენ; ამიტომაც პესტალოცი სულით და გულით უფრო საფლელს ეკუთვნოდა, საფლელის ხალხის ავ-კარგინაობას დააკვირდა და შესწავლა.

პესტალოცის დედა-მამა კეთილი და მშვიდობიანი იყო. მამა მისს კარგი მოსაგები საქმე ეკირა ხელში. უცრად გადიცავლა და ოჯახი გაჭირვებაში ჩაეარდა. პესტალოცი მაშინ ხუთი წლისა იქნებოდა, ამ ოჯახს დიდი სიღარიბე მოელოდა, მეტადე იმიტომ რომ პესტალოცის დედა დაუღვევარი და უანგარიშო ქალი იყო, მაგრამ გაჭირვებულებს მიეშველა ერთი ახალგაზდა საფლელი ქალი, რომელიც ჯერ მოსამსახურეთ იყო ამ ოჯახში და როდესაც სახლის უფროსი გადიცავლა, ამან თავ-გაწირული შრომით ააშორა შიმშილი და სიღატაკე. პესტალოცი თითქმის აკენიდანვე ხედავდა ამ ქალის თავ-განწირულობის მავალითს. ქალებში აღზრდილი ბავშვი მეტად გულ-კეთილი და გულ-ჩვილი გახდა. მგობარები სრულებით არ ჰყავდა და ამიტომ ბოლოს გამოჰყვა გულ-ჩაწყველობა და მარტობის სიყვარული. აღმზდელი ქალის სიფაქიზე და წესიერების დაცვა პესტალოცს ცხოვრებაში ძალიან გამოადგა.

ახლა ვეკითხოთ: პესტალოცი საიდან დაუახლოვდა ხალხს და საიდან გაიცნო მისი ვაი-ვალებანი?

პესტალოცი ჰყავდა პაპა—სოფლის მღვდელი, რომელიც ხალხს ძალიან უყვარდა და ამ მღვდელს შემწეობით ესეც ხალხს დაუახლოვდა, განდა მათი მოსარჩლე და მოკეთე. პირველად მას ამ მღვდელს დაწყებინა სწავლა. ის კაი ხანს იზღებოდა სოფლის ბავშვებთან, ბოლოს მიაბარეს ციურხის სკოლაში. დიდი განსხვავება იყო საფლელში და ქალაქში. საფლელში თავისუფლად კაი ჰაერზე ვაზდილი ყმაწილი, მერე სკოლაში ჩაეტყეს, სადაც პირმოთენება სუფედა. პესტალოციმ გაუძლო ამ სწავლას, მაგრამ ყმაწილობიდანვე მიხვდა, რომ ბავშვის დასაწყისი სწავლა უთუოდ ოჯახში უნდა იწყებოდეს და არა სკოლაში. ის მთელს თავის სიცოცხლეში ამ აზრის განხორციელებას ცდილობდა.

სწავლის დროს პესტალოცის ბევრი რამ გადახდა: ზოგჯერ ამხანაგები შეადგენდნენ წრეს ზენობის სიმაკარის დასაცვლად: არ ჰამდნენ რიგინადა, ხმელ ფირცლებზე წყებოდნენ, იაფ-ფასიან ტანსაცმის იცემდნენ და ამ გვარი ცხოვრებით უნდოდნენ მაგალითი ეჩვენებინათ სხვებისთვის. მეტადე რუსოს ჯაღაგებებმა ვაიტაცეს ყმაწილკაცობა... გვიდა დრო. პესტალოცმა გაათვა სწავლა, უნდა ამოერჩია ცხოვრების ასაბრევი, ყმაწილობიდანვე გამოყოლილი ჰქონდა ხალხის სიყვარული და უნდოდა მათი სამსახურა. პირველად მოინდომა საფლელის მღვდლობა, ბოლოს იფიქრა: ხალხი ჯერ ვერ მიცნობს და დაიწყო კანონების შესწავლა, რადგან ხალხი კანონების უკიდინარობით ხშირად იღუპებოდა, მაგრამ თავი ვერ დაუღო და მოისურვა მამულის ყიდვა, უნდოდა დაეწყო მისი შემეშენება—ერთი სიტყვით საფლელად ცხოვრება, ხალხთან უფრო დაახლოვება. ამ აზრით ჯერ მიებარა ერთი მემამულეს, წლის განმავლობაში მუშაობდა, როგორც უბრალო მუშა. მერე მამისაგან დარჩენილი ცოტაოდენი ფულით იყიდა რაღაც მარანა ადგილი და ააშენა ფეხბერთელა სახლი; ამის გამო გამოეღია ფული, მამულის შესამუშავებლად გროში აღარ დარჩა. ზედმე ეტყობოდა, ამას მამულის არა გაეგებოდა, მაგრამ ბედმა მაინც არ უშტუნა; პესტალოცის შეუყვარდა ერთი შემძლე ქალის ქალი. ქალის მამა ჯერ დიდ უარზე იდებ; პირინებაზე არ თანხმდებოდა, ბოლოს, როდესაც დაინახა, რომ პესტალოცმა ნდობა მოიპოვა და როცა ერთმა მიდარამა კაცმა ენდაროს მოსაუყუნად კარგა ძალი ფული გაუზიარა, მაშინ კი დათანხმდა ქალს და ჯვარი გადასწერა.

პესტალოცი დაბინადა თუ არა თავის მამულში დღე-ღამე მოსვენებას არ აძლევდა ის აზრები, რომ ასობით და ათასობით არიან ობლები მოკლ

მონი დედამისი აღზრდას და დღეს თუ ხელ უნდა  
 მზარაიყენ მოტანტალონი და ავაზანი. იმას უნ-  
 და ამ უბედურთა შველა, აღზდა. რაკი ეს აზრები  
 რთულ გულში ჩაიდლა, ევლარ მოსიგენა, სანამ  
 ისრულეში არ მოიყენა. ჯერ დიწყო ვახეთებში  
 ერთ დამტკიცება, რომ მათი შენახვა არაფრათ

დაჯდება, რადგან ყმაწვილები თავიანთ მუშაობით  
 გამოიკვებენ თავს და სარგებლობას კი კაცობრი-  
 ობას დიდ მოუტანენ. თავის მამულში, ნეიგოაში  
 პესტალოკში დაარსა ობლებისთვის თავ-შესაფარი.

ან. თ.წ.

(შემდეგი იქნება)

### საყურადღებო ამბები

ფილისის სათავად-აზნაფრო კრებაზე 31 მა-  
 ისი გადაწყდა ერთხმით გავზანონ თავდაზნ-  
 ნაფრობის წარმომადგენლად პეტრობურლსკა-  
 ლფისის დენერალი თ. ზაქარ. გულბ. ჭაჭუაძემ,  
 ნერალ-ლეიტენანტი თვ. ნ. გ. ამილახვარი, ლე-  
 რალ-ლეიტენანტი თ. ამირჯიბი და ლენ. მაიორი  
 ხიმშიაშვილი მისი იმპერატორებითი უმაღლესო-  
 მსგებდრის ქორწილზე დასაწერებად. ამას შემ-  
 მოხდა არჩევნები უფედის მარშლებისა და ამო-  
 ულ იქმენ ტფილისის უფედში თ. ეგვ. ბებუთა-  
 შვილი, გორისა—ი. სულხანიშვილი, ბორჩალოსი—  
 ზაქარია გიორგის ძე ერისთავი, დუშეთისა—ა.  
 გელვენიშვილი, თელავისა—ლენ. მაიორი მაყა-  
 შვილი, სივანისა—თ. ივანე ანდრონიკაშვილი.

ფილისის 1 შეუდგენ ლუბერსკის მარშლის არჩე-  
 ვის. არჩეულ იქმნა მისი იმპერატორებითი დიდებუ-  
 ლების კარის ევერ-მეისტერი (მაზიერთ უზუტესი)  
 კოსტანტინე ივანეს ძე მუხრან-ბატონი.

ჩვენს გონება-განვითარებულს თაობას ძალიან  
 თავადი კოსტანტინე ივანეს ძის მუხრან-ბატო-  
 ნის ლუბერსკის მარშლად არჩევა, რადგან იციან,  
 რომ ის კარგი მამულის შეიქცა და თუ, როგორც  
 გული ეზუნება, ისე ვაისარჯა, ბერის სიკეთეს უნდა  
 უფლოდეთ მისგან ქველ-მოკმედების ასაპრებზე. რა-  
 დან ის სასახლეში კარგათ ცნობილია, იმედა, მისი  
 სიკეთე და შუამდგომლობით ბევრი რამ სიკეთე  
 მოვლება მოველინოს ჩვენს საქართველოს ერს.  
 უფრო დიდი ღვაწლი მისგან ის იქნებოდა,  
 თუკი თელთა ყრმათა პირველ-დაწყებით სწავლა ყვე-  
 ლი სასწავლებელში სამშობლო ენაზე რომ იშუამ-  
 დგომლოს მთავრობის წინაშე და ტფილისისა და  
 თბილისის სემინარიებში საღვთოწერილის, საეკლე-  
 ვიალური და ქართული ისტორიის ზედმი-  
 რით სწავლება რომ შემოიღონ და იგი ამ საქ-  
 რამ იშუამდგომლებდეს მთავრობის წინაშე.

მისი და მისი წინამოადგილის, თ. მაღალაშვილის, სახე-  
 ები შემდეგ ნომერში იქნებიან დახატული.

\*\*\*

ქუთაისში 29 მაისი დიწყო საქალაქო არჩე-  
 ვანები, დაღვეს 99 ყუთი. დასახელებული იყვენ ამ  
 რიცხვზე მეტი კანდიდატებიც, მაგრამ ზოგმა უარი  
 განაცხადა ყუთის დადგამზე. არჩეულ იქმნენ ხმოს-  
 ნებად: ახლანდელი ქალაქის თავი ლუარსაბ ლო-  
 ლუა, გ. კიხიჩია, დ. აბდუშელიშვილი, გ. აკოვავ-  
 შვილი, დოქტორი ს. თაფურია, კ. ჩიკვაძე, მ. ქიქოძე,  
 ი. მურადიანი, გ. კემულარია, ი. ჯიანი, ი. პ. თუ-  
 მანიშვილი, მ. დაახველიძე, ლ. კოკიაშვილი, ს.  
 ხეჩინაშვილი, დ. ხელთაფლიშვილი, ა. ფიფინაშვი-  
 ლი, თ. ს. ლორთქიფანიძე, ე. ჭილაძე, ალ. აბდუ-  
 შელიშვილი, თ. მ. ლორთქიფანიძე, დ. ლორთქი-  
 ფანიძე, თ. კ. ლორთქიფანიძე, თ. ილ. მიქელაძე, ივ.  
 ჩიმაკაძე, დ. ნაზარაშვილი, გ. ბოლქვაძე, კ. ბაქრა-  
 ძე, გ. გამრეკელი და თ. წიქორიძე. ამ უკანასკნე-  
 ლის ხმოსნად დარჩენა საეკლერ მიაჩნია გამგეობას,  
 რადგან ყუთი შიგნდან დაშლილი ყოფილა და შვი-  
 დი თეთრი კენჭი ერთმანეთში აირია. ამ სიას ახალი  
 არჩეული ხმოსნებისას რომ თვალი გადაეგლოს კაცმა,  
 სასიამოვნო მოკლენად დარჩება. ეტყობა, რომ ქუ-  
 თაისის საზოგადოებას ძალიან წარბაქებით უყვლია  
 და ერს შეუფინა ქალაქის გამგეობის საქმე. ამ ხმო-  
 სნებში, სამს გარდა, სულ მაღალ სასწავლებელში, ან  
 საშუალო სასწავლებელში კურს-დასრულებულნი  
 მოხვედნ. იმედა, ისინი უფრო საფუძვლიანად წი-  
 იყვანენ ქუთაისის ქალაქის საქმეებს. თავი და ბოლო  
 ის იქნება, რომ მომავლის ქალაქის თავს ინიცია-  
 ტორობაში ხელი შეუწყონ, ფრთები შედასნან მის  
 მოკმედებას. ნუ დაივიწყებენ, რომ ქუთაისს ყველა-  
 ზე უფრო ახლა ეკირება კონკა, ცხენის რკინის გზა,  
 წესიერება ვაჭრობაში, სხვა-და-სხვა მრეწველობის  
 დაარსება და ქალ-ვაჭთა სახელოსნო სკოლის გაა-  
 რთვა.

\*\*\*

ფრიად სასიამოვნო მოგონებას ენიშნავენ ჩვენ ცხოვრებაში. ტულისში ამ დღეებში გადაიკვალა ერთი სომეხი ლორის-მელიქიშვილი, საქართველოს აზნაურთაგანი. იმან დატოვა საქველმოქმედო წვლილი, სულ ოთხასი მანეთი და ამ ოთხას მანეთში მეთხუთმედი წილი ქართველთაშორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გაუზიარა. მეზობელმა ერმა მეზობელს ერს ლუჟმა გაუწოდაო რომ იტყვიან, სწორედ აქ გამოჩნდა. ძმამ ძმას წილი მისცა. დრომ მოიტანა და ჩვენც თანდათან უნდა დაუხაზოვდეთ ერთმანეთს, ორმა ძველიდანვე მონათესავე ერმა ერთმანეთს ხელი უნდა მიეცეთ, საერთო მოქმედებისათვის ერთმანეთი უნდა გაეიტანოთ.

\* \*

ამ დღეებში განჯის რკინის გზის სადგურზე მისმა უფროსმა გაუმართა სადღიო მთელის რუსეთის რკინის გზათა უფროსს მისი ამალით. სხვათა შორის იქ ყოფილა ქართულ მომღერალთა გუნდი, რკინის გზის მოსამსახურეთაგან შედგენილი. უმღერიათ: „დელი ოდელი“, „პატარა საყვარელო“, „შაშვი კაკაბი“, „ხელხევაი“, „ფერხული“ და სხვ. რუსეთის რკინის გზათა თანაშემწე ისეთს აღტაცებაში მოსულა, რომ ქართველ მომღერალთა სადღეგრძელო დაუღვივია ღ აგრეთვე უდღეგრძელება საქართველოს ერი.

\* \*

პეტერბურღში ქართველ სტუდენტებს განუზრახავსთ ევ. ნინოშვილის მოთხრობის „ჩვენი ქვეყნის რაინდის“ რუსულად გადათარგმნა.

\* \*

ჩვენ მივიღეთ ლამაზი სახალხო წიგნაკი, გამოცემული ოზურგეთში კოსტანტინე თავართქილაძის მიერ, სახელად „სამი არაკი“: მეფე და ხელოსანი, ოქრო-მჭედელი და მეფე სოლომონ ბრძენი. ეს უკანასკნელი ზღაპარი შეენიერად ხატავს

ჩვენი ამ დროინდელის ერისა და ინტელიგენტობა მოქალაქის ცითარებას. ვინც წაიკითხას და ჩაუფიქრდებამ ზღაპარს, ბევრს საყურადღებო და კურონაზის შეითვისებს. წიგნაკი ღირს სამი კაპეიკი. მებუღა იაუია და კარგი შინაარსისა. იმ დროს, როდესა ჩვენი გონება-განვითარებული დასი ერთმანეთს თუ ატებს სულ პირადი უქმყოფილების გულისთვის სოფლად ჩნდებოდა თითო-ორიოლა ნამდვილი მოღვაწე წილი და სტამბის საშუალებით ცდილობენ ერში წერა-კითხვა გაავრცელონ იაუი წიგნების გამოცემით ერთი პატივსაცემი ამ მოღვაწეთაგანი უსაქლო არის კოსტანტინე თავართქილაძეცა, რომელმაც სტამბები გამართა შუავულს სამეგრელოში და შუავულგურის დედაქალაქში. ვინ წარმოიდგენს, თუ ეს კისრა თავმდაბლად ეწევა საერო ღვაწლს. შექმნილია რომ ზნირად თეთონ ასოთ-ამწეობიც არის, შექმნილია და წიგნების გამოცემი და გამყიდველს თვით ეს „სამი არაკი“, რომელიც მას გამოუტყდასე იაუვად, ამტკიცებს, რომ ამ კაცს გონებითი მათხონილება ჩვენი ხალხისა კარგათ ესმის და კიდევ აწოდებს მარგებელს საზრდოს. ღმერთმა ქმნას ამ ჩვენს დროში ბევრი ამის თანა გულ-შემატევიარი გამოჩენილიყოს მარტო რად ღირს, რომ სამეგრელოში მისი შრომით ეფინდებოდეს ასეთი კარგი შინაარსის იაუ-ფასიანი გამოცემები და მის წიგნებზე ეჩვევა სამეგრელოს ხალხი ქართულს კითხვას.

\* \*

გამოვიდა „მწეყმის“ მეათე ნომერი, რომელშია შესანიშნავი სტატია არის დაბეჭდილი ტფილის ბანკის არჩევანებზე.

ი ლ ღ ი ა ს  
(გუბლნი ჩუპ ქალს)



მე იქ ვმოზილვარ, აღვზილვარ  
სად ლეიგის მწვანედ ევლები  
და მთანი კას მიბჯენილინი  
გარს აკრავს, ვითა მცელები.

და ამ ედემის დარაჯნი  
ამაყად იყურებიან.

სად ყოველ კუთხით ნაკანნი  
მოპაქეფენ წმინდა წყლიანი,  
სად ხარობს ტყე და მინდორი  
ბუჩქნარი ყვეილიანი.

თვალ უწვდენელი მწვერვალნი  
ღრუბლებით იბურებიან

სად მთლად ფოფინებს მიდამო  
შემკული ია და ვარდით,

გულ-საკლავად მიღეს ბუღბუღლიც დალილი მგტი ნაეარდით.

იქ ხელოვნური არა არს, იქ ტურფად ყვავის ბუნება, ის წილ-მხედრია ლეთისმშობლის მკვიდრობს მისი ძის რწმუნება.

ის არის ჩემი სამშობლო!.. ის მიყვარს, ეტრფი იმ მხარეს, იქ მინდა სულს განეშორდე, იქ მივებარო სამარეს!..

რუს-იმერელი

20 მარტს 1894 წ.

### გ ა თ რ თ ხ ი ლ ე ბ ა

(ვერდნი ბ.ნ რედაქტორს და მის თანამშრომლებს)

ველად ჩვენში ერთი ჩვეულება იყო: როცა მოჯალაბე გაჯიუტდებოდა, ან და რამე შეუსაბამო დანაშაულობას ჩაიდენდა, ჰტოვებდა თავის ოჯახს, მამულ-დედულს, ბატონ-მეზობელს და გამორბოდა ქართლისკენ, თავის შესაფარად და სასჯელის ასაცილებლად. ხან-და-ხან ამ ჩვეულებას სჯივდნენ შედეგიც მოჰყვებოდა: დამნაშავე სხვების მიძებით და მრავალგვარ განსაცდელთა ზე-გავლენის გამო ჰტოვებდა ადრინდელ ზნეს, ჩვეულებას, მიღრეულებას და გამოსადეგ კაცად ჰხდებოდა. გაკრივეობის ჰხარაკი ზნეობრივ მალამოთ ესალმუნებოდა ხოლმე, ვი „ვაშაი“ ეცდებოდა, განსაცდელი განახლებას, განკურნებას უჭადა... მართალია, ზოგჯერ მოჯალაბე იქაც მოჯალაბობდა, ზოგჯერ, მხარ-შეკრულსაც და ფეხებ-მეობეკრულსაც კი გიბრუნებდნენ უკან, მაგრამ... მაგრამ ერთი ორი მავალით რა მოსაყვარია,—მე საზოგადო მოყენაზე მოგახსენებთ და მარტო მასზე...

ახლა... ახლა „ღრონი იცვალენ“ და ჩვეულებრივი მოყენა თითოთ საჩენენებელ მავალითად შექმნა, „ღრონი იცვალენ“:

დრონი რა დრონი, ნაქებნი მტკანარა!— და საარაკო მოყენამ ჩვეულებრივი ხასიათი მიიღო, ახლაც არიან ჩვენში მოჯალაბეები (თუმცა ბატონ-შობა გადაეარდა), ახლაც გამორბიან ისინი ქართლ-კახეთისკენ (მაგაზე ადგილი რაღაა, თუ ნაწილობით კონდუტკორი იშოვნა); მაგრამ ცოდვების სანაწინებლად კი არა,—არა! სამოძღვროთ და სასულიეროსტროთ... დიად, ჩვენებური მოჯალაბეები ჩვენში სამჭკვრემტაველო კათედრას ეტანებიან ხოლმე, ჰკიცხავენ და ჰგობენ ნამდილო მოღვაწეებს და ნამუსოდ გაიძახიან ხოლმე თავის თავზე:

გადა ის არის, ვინც არის სჭკვენად ლათით ცხეული. მით მხოლოდ დეჭლი არს გეთოდ, მით მსარე დაშენებული...

შორს რომ არ წაიდგეთ ერთს მავალითზე მიგითითებთ. აგერ რამდენიმე თვეა, რაც ერთი ვაზეთის ფურცლებზე დათარეშობს ერთი „ვინმე“... ეს ის გმირია, რომელსაც დიდი ხანია, რაც გაუტყდა მეკობრობის ნაფი, დიდი ხანია რაც გაისილა ცხოვრების ტალღებთა შეუპოვრობის მსხვერპლად... ვუფრო მღაზიური ერთი რომ მოგახსენოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ბ-ნი მღაღადებელი სხენებულის ვაზეთის უდაბნოსა შინა ეგრედ წოდებული სამოქალაქო კონონით დასჯილი „ვინმეა“. თუ გინებასთ მე ვაზბლებთ ერთი ოლქის სასამართლოს ვადაწყვეტილებას, რომლიდანაც დაინახეთ მის ვინაობას,—იმ პირის გულწრფელობას, რომელიც პატრონებაზე, კეთილ-შობილობაზე, მამულის სიყვარულზე და სხვა ამ გვარ მალალ საგნებზე წამ-და-უწუმ არახუნებს. მე ვაყენობთ ამას ყველაფერს და ეს ჩემი ცნობა იქნება ნამდვილად პასუხი იმ უწმარწო და უსიციბელო წერილებებისა, რომელნიც იბეჭდებიან ამ ბოლოს დროს ზოგიერთ მოღვაწეთა წინააღმდეგ. იქიდან თქვენ დაინახეთ ვინ გებასებათ, ვინ იცავს მათ, ვინც ამ გვარ დამცველთა ეძებენ და ჰპოულობენ, ერთი სიტყვით, თქვენ მიხედვით, რად ვახდა ჩვენი მწერლობა, ვინ მოექცა მას სათავეში, ვინ შეიქმნა მისი სულის ჩამდგმელი და წინამძღოლო...

„ან ეს, რაცა ეთქვი, რათა ეთქვი“, თუ არა იმისთვის, რომ წინდაწინვე მეკობროლად ვაგაფხიხოლოთ. „ნეტარ არიან ისინი, რომელნიცა არა შევიდენ ზრახვათა უფნურთათა“...

ბატონებო! იმედი, რომ თქვენ მათ ხმას არ გაჰკემთ, რადგან არ შეგეშენით, არ გეკარებათ ყველასთან ბაასი და მით უფრო მათთან, ვინც მოჯალაბობს სიმართლის გამო-კი არა,—სამართლის მოჯალაბობის გულისთვის გამოქცევიან. Sapienti sat.

იმერელი.

# სიყვავე წარმოთქმული აკაკის მიერ ქართლის თავად-აზნაურობის წინაშე



უშინ ბ-ნმა ჭეჭევაძემ ბრძანა: „ნათქვამია, ნამეტანი გრძობისაგან ბაგენი მტკაცებლებენ და მე კი სულ სხვასა ვგრძობობო!.. ბაგენი ჩემნი სღუმენ და მალღობის თქმას ევარე ვახერხებობა!.. ემაღლობ იმათ, ვინც მე ამომირჩიეს—განაგობო ტრიუმფატორმა—ხოლო ვინც არ ამომირჩიეს, იმათთვის კი ვისურვებ, რომ შემდეგისათვის თელი ახელოდესო, სიმათულ დაენახოსო და მით მეც მათი გული მომეგროსო“. სასურველია ეს სიტყვები დროშაზე მოქარვოს, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ქვეშ ჩენი პატარა—სიტყვებიც მიწერილი იყოს: „ვისურვებთ, რომ არა მხოლოდ ცხრასასა და სამასს ახელოდეს თელი სასწორამხედველოდ, არამედ მთელ საქართველოსაც“ მაშინ, მხოლოდ მაშინ, იქნება ადვილი სისწორა-სიმრუდის დანახვა და ე-კარგის გარჩევა... მაშინ ქება-დიდებაც უფრო ღირსეული იქნება და სასწუმლოდ მისაღები!.. შეგნებულთაგან პატივისცემა განაზრგევეთო მალამოა დალამულ მოღვაწისათვის და ამიტომაც გულ-წრფელ მოლაწწეს არა მსუტს, რომ ბრძემმა, გინდ მათი რიცხვი უთვალავიც იყოს, თავყენი სცენ მის შეენიერებას და ყრუებმა მკვერ-მტკაცებლმა მოუწორონ!! მე ეხვედა, რომ გულ-მოღვინეთ მიგდებთ ყურს, მაგრამ მაინც კიდევ უნდა ვთხოვოთ, რომ ეს ჩემი სიტყვები, რასაც დღეს აქ მოვახსენებთ, დაიმახსოვროთ. ვთხოვთ ამას მხოლოდ სიმათლის მოყვარებობისა და არა უბრალო კერძო თავმოყვარების გამო: ახირებულ დროში ეცხოვრებთ! დღეს ჩენში სიმათლემ და ქვეშა-რეტებაშ ნიადაგი დაკარგეს და მათ ნაცკლად სიმრულე და ორიპირობა ფარავშებს!.. ცილისწამებას საზღვარი აღარა აქვს: სიტყვა სხვანაირად გადააქვთ... აუკულმარტებენ და იარაღად ხმარობენ. თითი ნაწერებსაც კი სხვანაირად ხსნიან და თავს მათი მართლულობენ, რომ ასე გვეცნისო. ამის მაგალითები მე თვითონ ჩემ თავზე გადამხდა: შარშან (ბერეს თქვენგანს უთუოდ ახსოვს), როდესაც კრებაზე ჩამოვარდა მსჯელობა სათავად-აზნაურო სკოლის შესახებ, მომაასენი ორ-დასად გაიყვენ. ერთს უნდოდა სკოლის გადაკეთება მისი წესდების შეცვლით და მეორე კი წინააღმდეგი იყო. მეც რასაკვირველია, გულმა აღარ მოამითინა და ჩვერზე შემდგვი წინადადებით: ეს წესდება ბედნიერ დროსა გვაქვს მიღებული... დღეს წუნს ნუ დადებთ ჩენს ერთად ერთს სკოლას, თორემ სამაგიეროს მაგისთანას ევლარ მივიღებთ და შენანებული დავრჩებით... ვი-

ბრზე ნუ შეგავდებთ! საჯიბროდ ნუ გავხდით ამ წმინდა საგანს!.. მთელი ჩენი ისტორია ცოტა მაგალითის წარმოგიდგინს, რომ ჯიბრს დაველუბო? ჩენი ერისთავები, დიდებულები, თავადები ძველით ყველანი თავადებული იყვენ მამულის გულისთვის, თითოეული მათგანი სამსხვერპლოდ იყვენ გაწირული. მაგრამ ერთმანეთში რომ ვერ მორთდებოდნენ ხოლმე, მტრებს მოიმხრობდნენ, შახ-აბაზებს, ხოჯა-ხანებსა და მძინეარე ფაშებს ჩენი ქვეყნისკენ გზებს უკვალადვენ-მეთქი. ერთმა იქ მყოფთაგანმა, ცბიერად მკითხა: ვინ არიან მტრები? პირდაპირ დასახელები და ვის იგულისხმებ შახ-აბაზებათ, ხოჯა-ხანებათ?—მე წარმოგიდგინე სარკე ჩენის წარსულისამეთქი, ვუპასუხე და გაჩუმდი. მაშინ მიუბრუნდა ისევე კრებას ცხარე სიტყვებით: პატარებო! თქვენ გეცხვისო მოლატეებს, მტრებს, შახ-აბაზებსო და სხვანი და სიტყვების გადასხვაფერებით იმდენათ აღლელვა ზოგიერთები, რომ სცენაზე შემოაკონდნენ და ერთმა რეგულაციერც ამოიღო!.. მაგრამ მე, როგორც ქართველს, არ შემშინებია!.. მართალია ფარხმალს ჩემ მამა-პაპასავეთ ვერ ეატრიალებ, მაგრამ გულს კი ისევე ქართულად ვხმარობ და სიმათლისათვის, რომ კიდევ ამკულწონ, არ გავიქციე. მართალია შიშმა ამოიტანა მთელი წლის განმავლობაში, მაგრამ ეს შიში კი სულ სხვა გვარი იყო: „ნუ თუ—ფექობრი ჩემ გუნებაში—ის რწმუნება, რომელიც ამდენი ხანია გულით მიტარებია, რომლისათვისაც შემვიწირავს ჩემი პირადი არსებობა, რომლის გამოც ნახევარ საუკუნის განმავლობაში ერთი დღე ბედნიერი არა მქონია, ნუ თუ მართლა ის რწმუნება გადაქცეული საგანი შეცდამა იყო? ნუ თუ ის გზა, რომლისკენაც დღეს ზოგიერთები გითითებენ, უფრო სწორი და სასარგებლოა ქვეყნისათვის? მაშ, ვი დატანჯული სიცოცხლე და გაცულწობა იმედო!.. აი, რა მაშინებდა წლის განმავლობაში და რა მიფთხოვდა ძილს!.. მაგრამ წრეწაღვამა კრებამ გამკურნა მე: როდესაც ერთ უბრალო წესდების მუხლის შეცვლაზე ჩამოვარდა ბაისი, ზოგიერთებმა ის შარშანდელი ჩემი სიტყვები გაიმეორეს და ქების ტაშიც გამოაწვიეს!.. აღარავის მათთვის აღარ უთქვამს: ვინ არის და სად არის მტერიო? მაშინ... მაშინ კი მეც მივხდი, რომ მე კი აღარ ვყოფილვარ შემცდარი, მხოლოდ ისინი, ვინც ხან მარჯვნივ აფრიალებენ დროშას და ხან მარცხნივ. ზედაც ასე უწერიათ: „ასე ჩემო მანასო, ხან ისე და ხან ასეო“... და ის ვახუთებიც, რომელნიც იმათ ბანს აძლიევენ, სამანასყო ყოფილან!.. მეორე მაგალითი: წელს კრების წინეთ მე გირჩევედი თქვენ, რომ სოფლებიდან ჩამოსულიყავით აქ, ქალაქში, თქვენი

ყურით მოგვსმინათ ყოველივერი, თქვენი თვალით დაგენახათ, თქვენი ჭკუით ავეწონათ და ისე დაგვღვათ მსჯავრი, რომ სხეების ჩრევესა და ჭკუას არ აუოლოდით. თუ სიღარიბე ხელს შეგიშლიდათ, გიჩრევედით რომ ელი ავლოთ, მიგემართათ მეზობლებისათვის, მათვან ხელი გაგემართათ და უთუოდ დასწრებოდით საზოგადო საქმეს. ეს ზოგიერთებმა გადასხვაფერეს და გაზეთებში ამტკიცებდენ ჩემზე: ერთიანად მე თქვენი თვის მოქართამობა და სინილისის გაყიდვა მერჩიოს. ვანა ამისთანა რასმე მე ან ჩემ თავსა და ან თქვენ შეგკადრებდით? ეს გაუკებრობა ჯერ მე იმათ უუტარადღებობას მივაწერე ჩემი ნაწერისადმი და ხელ-მეორეთ ისე გარკვევით აუხსენი მათ იგივე აზრი, როგორც პატარა ბავშვებს, მაგრამ მაინც რომ აღარ ვადათქვებს, მაშინ კი მივხდი, რაც აღაპარაკებდათ!.. თურმე საარჩევნო ხრიკები იყო მათი გულები და გავრეზი. ორი კვირის განმავლობაში ვაზეთები ჩემზე ცილისწამებით მოლაშკრებდენ, კრებებზე ურიგათ მიხსენიებდენ და ზოგიერთები მედიდურობით დედა-მიწასთან ვასწორებდნენ მემტკრებოდენ, მაგრამ თქვენც მოწამე ხართ, რომ მე მხოლოდ ეციინოდი—რადგანაც დარწმუნებული ვიყავი და ვარ, რომ იმ ჩემ სიტყვებს, ჩეულებსამებრ შემდეგში ისინივე გაიმეორებენ.—ზოგიერთები იმასაც კი გეუბნებოდენ თქვენ ჩემზე, რომ იმერელია და ჩრევეს ნუ დაუჯერებთო, მაგრამ თქვენი პასუხი სასიამოვნოთ არ დაურჩათ და მე ჩემის მხრით ამას ვიტყვი: საქართველო ერთია ყველასათვის, როგორც ერთი დედა და ამერეთ-იმერეთი ზედ ორი ძუძუა!.. უსუსური ბავში რომ ცალ ძუძუსა წოვს, იმავე ღროს მეორესაც ხელს უჭერს, არაეის დავანებოა!.. ისე თანასწორად უყვარს ორივე და ვინ იქნება მისთანა ჭკუათა მყოფი ქართველი, რომ ორივე მხარე ამერიცა და იმერიც თანასწორად არ მიაჩნდეს! სწორედ არ უყვარდეს?! დილა, ბატონებო, მე ევრაეინ შემწამებს, რომ თქვენ იმერლებზე ნაკლებ მიყვარდეთ და ჩრევეს უგულოდ გაძლევდით!.. დღეს, როდესაც კრება გათავდა, დაიშალა და თქვენ სახლისკენ ბრუნდებით მე კიდევ იმავე რჩევით მოგმართავთ, რომლითაც მოკმართეთ კრე-

ბის წინეთ: „როდესაც საზოგადო საქმემ მოგწოდებოთ ნუ დაიზარებთ ხოლმე ჩამოსვლას!.. ელი ავლოთ!.. არა თუ ქალამნებით, ფეხშიშველა რომ ჩამოხედეთ, დასაძრახისი არ იქნება!.. არა თუ სასტუმროებში და ბალებში, ქუჩებშიაც რომ მოგხედეთ ღამის გათევა, ნუ გერცხინებთ!.. შესარცხენი ის არის, ვინც გრძნობითა და გონებით არის ღარიბი და არა ის, ვისაც სიმაართლე და ქვეშაობა უხელმძღვანელებს.—ეგება თქვენგანმა ვინმე იფიქროს: რა გამოვა, რომ ჩამოვიდეთ ხოლმეო, თუ კი ყოველთვის დავმარცხდებითო? და ეს შემცდარი აზრია!..—დამარცხებული მხოლოდ მაშინ არის კაცი, როდესაც სასოგებას დაჰკარავს, გულიდან სიმაართლესა და ქვეშაობებს გადაიღვებს და ძალ-მომხრებას შიშით დავმარჩილებს!.. თორემ ვისაც სიმაართლე და ქვეშაობა იმედით შეკავშირებული გულში უღვივა, ის ყველგან და ყოველთვის გმირია. თქვენ წელს ბევრი რამ მოისმინეთ.—ბევრი ქვეშაობა წამოთქვა თქვენ წინაშე, ის დამარცხეთ გულში და შეუღვევით მომავალს.—ზოგიერთებმა იცანა: რა გამოვა ცარიელი სიტყვითო? ერთ ყურში შევა სიტყვა და მეორიდან გამოვაო!“ ტყუილია!.. სიტყვა თესლია კეთილი და საქმე მისი ნაყოფი. როდესაც მთესველი ჰვანტავს თესლს ხნულში, მაშინ უგუფურს უკვირს: რას შერება? რათ აზნეეს ამ ხორბალსო? დაუარცხვას შემდეგ, როდესაც მიწაში მიიფარება მარცვლი, იმას ევლარაინ ხელდას რამოდენიმე თვის განმავლობაში და მყარად ბალახ-ბულახის აყვავებასა და ბიზნის შერებას!.. მაგრამ მოვა ვაზაფხული, მიწაში მიმალული მარცვლები თავს იჩენენ.. აბიზნდება ჯეჯილი და მაშინ კი ყველა კურთხევით იხსენიებს მუშაკსა და მთესველს, სიტყვა თესლია! ხნული კი კაცის გული; აქ ჩავარდნილი სიტყვა არა ჰქრება, მხოლოდ დრომდე მიმალულია და ნელ-ნელა ღვივის, რომ შემდეგ თავი იჩინოს. თქვენ ბატონებო, რაც წელს საკეთილო რამ გაიგონეთ, დამარცხეთ გულში; წაუღეთ თქვენს ცოლ-შვილს, თქვენს კეთილ მეზობლებს, გადაეცით მათაც და მოელოდეთ ვაზაფხულს!.. შრომის და სიმაართლის მოყვარება წინამორბედობაა იმ სანეტარო ვაზაფხულს!.. ვისურვებ თქვენი თვის ამ დიდებულ მოკალეობას და გულითა ესეამ თქვენ სადღერძელს.

დედაკაცთა მოძრაობის მეთაური ქალები ვერმანიაში



რო გამრეზებით კაცობრიობის ცხოვრებაში უცვლად ამოჰყოს თავს რომელიმე ახალი აზრი. როგორც უცხო თელის ნაყოფი უცვლის ფერს მობობინე ყანას, ისე ახალი აზრი ჩნდება ახალი მოძრაობის ნიშნად საზოგადოებაში. ის აღელვებს ყველას სულსა და გულს. როცა ეს მოხდება, მაშინ ამბობენ, მოიწია ჟამი ჭ ახალი აზრი ჰყრას ტრიანგლებსო. მაგრამ სრულებითაც არაგინ უფიქრდება იმ გარემოებას, თუ ამ ახალი აზრის ფესვები რა დიდი ხნიდან გამჯდარი ყოფილა თვით საზოგადოების ცხოვრებაში და თურმე ძველიდანვე მომდინარე უსამართლობა ცხოვრების ალბობა ამ ახალ აზრს და ასაზრდოებდა აღმოსაყენად. მაგრამ შენიშნულია, რომ სანამდის ახალი აზრი საუფლებოდეს ხოლმე ტყინში და გულში მთელ საზოგადოებას, პირველად იგი მიიქცევს ხოლმე მხოლოდ ერთსა და ორის მალალის ნიჭისა და ნათელი გონების მებატრონის ყურადღებას, პირველად ესენი აღძრენ ხოლმე საზოგადოებაში ამ ახალ აზრს და თითოთ უჩვენებენ მანე საზოგადოებას. უნდა წარმოიდგინოთ, რა საოცარი ბრძოლა და წინაღმდეგობა ატყდება საზოგადოებაში ამ ნათელ განხილვას კაცების წინააღმდეგ, რომელთაც პირველად ვახებდეს ახალი აზრის წარმოთმა და მისი დამწიფების გულისთვის თავგანწირული მუშაობდენ. ეინ წარმოიდგენს, რამდენი დაციწვა, უშეგირი ლანძღვა-გინება და ზოგჯერ დენეც მოკლის ახალი აზრის მქადაგებელს, სანამდის მათიფერ წინასწარმეტყველოურად ქადაგებული აზრი მოიკებდეს საზოგადოების განებას, მოაწიფებოლეს იმდენათ, რომ განებითი სიბნელით მოკუელი კაცისთვისაც ისე ცხნები შეიქმნეს, როგორც დღის სინათლე.

ასეთი აშმაგი მოუყიდა დედა-კაცთა წარმატების საქმესაც ვერმანიაში. პირველნი მქადაგებელნი დედა-კაცთა უფლების გათანაწორებისა მამა-კაცთა უფლებასთან და მათი განება-განვითარების მომხრენი გიყებად იცენეს ვერმანიაში, დაკინოდენ, ლანძღვიდენ და ზოგნი სიყველისაც ემუქრებოდენ, თუ რომ თავის სისულელეზე ხელს არ აიღებდენ. მაგრამ ძლიერმა დროთა რყევამ თავისი გატანა. ლუკმა ჰურის მეძებლობამ, როცა ხალხი გამარაღდა, ყოველი კაცი თავის-თავის ანაბარად მიავდო. თვითონ უნდა ეშობენ საზრდო ყოველ კაცს. მაშინ უსამულობათა წრეს გარეშე დარჩენილმა დედა-კაცობამ, რომელიც უხერხობის წყუმპეში ყვირთავდა, თვით საზოგადოებაც ზნე-დაცემულობისა და გარყვნილების მორვეში ჩაავდო. აი, ამ დროს

გამოაჭყიტეს თვალი და ასე აღიარეს: დედა-კაცთა თუ მდენი განათლება და უფლება არ მიეცეთ, როგორც მამა-კაცთა, უკიდურესი გარყვნილება და ცხოვრების უსამულობა მამათობის კაცობრიობის განათლებასა. ბევრმა, ძალიან ბევრმა დრომ გაიარა, სანამდის შესაძლებელი იქნებოდა დედა-კაცთა განათლების მზარუნელობა საერთო საზოგადოება დაახლებდებოდა ვერმანიაში. ეს მოხდა 1865 წელს ლიუპცილში. ამ საქმის მეთაურად იყვენ ქალები: ჯუიზ ოტტო-პეტერსი და აგუსტა შმიდტი. ამ დედაკაცთა მისწრაფება ჭ წადილი იყო შემდეგი: დედა-კაცთა გონების განვითარების სურვილის აღძერა საზოგადოებაში, ყოველინაირი სასწავლებლების დაარსება ქალების აღზრდისა და განათლებისათვის, მფარველობა მოსამსახურე და მუშა ქალებისა და დაარსება „დედა-კაცთა საზოგადოების“ განვითარება, სახელად: „ახალი გზა“, რომელიც ლიუიზა ოტტო-პეტერსის და აგუსტა შმიდტის რედაქტორობით შეენიერად მიდიოდა.

ამასთანავე ეს მეთაური ქალები საკვირველი მკვერ-მეტყველი იყვენ და არსად შემოხვეყას არ ჰკარგავდენ, რომ საზოგადოებაში თანავარძნობა აღძერათ დედა-კაცთა დახმარების სასარგებლოდ, ლიუიზა ოტტო-პეტერსი დანიბადა 1819 წელს და 1848 წელს დიდი მონაწილეობა მიიღო ერთა თავისუფლების მოძრაობაში: გულის ამგზნები, გამტაცებელი სიტყვებით დიდს შთაბეჭდილებას ახდენდა კრებაზე. ოტტო-პეტერსისა და შმიდტის მეფობებით ქალებს გაუღეს კარი უმაღლეს სასწავლებლებში, ბევრი დედა-კაცთაგანი შეიქმნენ ექიმები, დასწავლებლები და სახელმწიფო მოხელენი. იმათე დროს მოქმედებდნენ პეტრეთე წარჩინებული განება-განვითარებულთა დედა-კაცები: ჯუიზა ბიუნსერი, სახელოვანის ფილოსოფოსის და, მარია კაჟმა და პერკა-ფონ-მარქსი-ოლფ ბიულოჟი. ლიუიზა ბიუნსერმა დასწერა ერთი წიგნი: „ქალი და მისი დანიშნულება“. ამ წიგნმა გაიტაცა დიდი გესენის ჰერცოლის ასული, ალისა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ქალების საქმეში და მისი ხარჯით დაფუძნდა დაწესებულებანი, სახელად „ალისას ბაზარი“, „ალისას ლიცეა“ და „ქალების სახელოვნო სასწავლებელი“. ლიუიზა ბიუნსერი დანიბადა 1821 წელს და მოკვდა 1877 წელს.

პეტრ-ფონ-მარქს-ოლფ ბიულოჟი დანიბადა 1811 წელს. ამ ქალმა საქმით განახორციელა მოციქულთა ბრძენი მოძღვრება პესტალოცისა და ფრებელისა, რომელიც ამტკიცებდენ, რომ ყმაწვილებს ბუნებრივი თვისებისამებრ გართე ჰყრას ქაღალდის მუშაობაზე უნდა აღზრდოთ, რომ მათი სულიერი და ხორციელი მხარე შესაფერად გაიფურქნოს, გინე-



ლოს და თავისუფალს განვითარების გზაზე დაადგენო. ბერტაბიულოვის ქალმა მოპვინა მთელი გერმანია საყმაწვილო ბაღებითა და პირველ დაწყებითი სკოლებითა, საცა ფრებელისა და პესტალოცის მეთოდით ასწავლიდენ ყმაწვილებს. ის გადაიცეალა 1893 წ.

მისცა ქალების უმაღლეს განათლების საქმეს გერმანიაში მის მიერ შეთხზულ წიგნმა სახელათ „ეკიმი ქალი“. მას შემდეგ გაუღეს კარი ქალებს სამკურნალო უმაღლესს სასწავლებელში კურს დასასრულებლად.

ლინა მორგენშტერნი დაიბადა 1830 წელს



პრ. მედიალიონი

1) ლიზა ოტოპეტრსი, 2) მარტილა ვეპერი, 3) ჰენრიეტა გოლდშმიტი, 4) ლინა მორგენშტერნი, 5) მარიამ დე. ბერ-ქესნეფე, 6) აგუსტა შმ. დტი, 7) ელენა ლანგი, 8) მარიამ ვალში, 9) ლუიზა ბიენენერი, 10) ბერტა მარტენ ჰოლდ ბიულოვი.

გენრიეტა გოლდშმიტმა დააარსა „საზოგადოება ოჯახში განათლების შესატანად“, გამართა მრავალი სახალხო საყმაწვილო ბაღები.

მარტილა ვეპერი დაიბადა 1829 წელს. საკვირველი დაუღალავი, მზიარული და მხნეობით გამსჭვალული ქალი იყო, მას ნიადაგ გული შეტყიოდა დაბალი ხალხის განათლებისათვის. დიდი წარმატება

ბრესლავეში. ამან დაარსა „ქალთა სამრეწველო საზოგადოება“, რომელიც დღეს დიდ წარმატებაში არის და ბერეს ქალს აქმევს ლუქმაპურს ხელობის შესწავლით, ამ საზოგადოებას აქვს ახლა თავის საკუთარი შეწეიერი სახლი და სამოხელო დაწესებულება, ამას გარდა იგივე, შრომაში თევ-დადებული თაოსნობდა „ქალთა საოჯახო“ გაზეტისა.

ელეზე ლანგე დაიბადა 1848 წელს. შესანიშნავი მწერალი და თვადღებულის დამაარსებელი საქალაქო მასწავლებელთა ინსტიტუტისა, ეს ქალი 1876 წელს განაწესეს ბერლინში ერთ საქალაქო სემინარიის ზედამხედველად. მისი შეთხებით დაწესდა ბერლინში საქალაქო რეალური სკოლა 1890 წელს, მაგრამ შარშან ეს სკოლები საქალაქო გიმნაზიად გადაკეთდა და შეენიერადაც არის წარმართული იგი ელენე ლანგეს თაოსნობით. ამას გარდა ეს ქალი ნიჭიერი მწერალი და ჩინებული მჭევრ-მეტყველიც არის.

ლემურ ჭუსესე დაიბადა 1837 წელს. იმან 1884 წლიდან ვაჟი სკა ვაზეთი, სახელად „ქალი, როგორც საჯახო და სასკოლო მასწავლებელი“. ამ ვაზეთის საშუალებით დაარსდა ქალ-მასწავლებელთა საზოგადოება, რომელიც ზრუნავს ყოველ უღონისძიებო

და გაკირებულს მდგომარეობაში ჩაყარდნის მასწავლებელს ქალზე, საცა უნდა იყოს იგი, გერმანიაში, ინგლისში, თუ საფრანგეთში. იმან გამართა საზოგადოებო სკოლები, ამ საზოგადოებას 6000 წევრი ჰყავს. თვით ლემურ-ჰუსესეც, მწერლობას გარდა, ღღ „შთაბედილებას ახდენს ქალთა საზოგადოების კრებებზე სიტყვების წარმოთქმით: მისი ენა-მჭევრმეტყველებას ყოველთვის მაყურებელთა. ესენი არიან სულ ის შესანიშნავი ქალები, რომელთაც აღძრეს ქალთა გონება-განვითარებისა და პოლიტიკურად განათავისუფლების საქმე გერმანიაში. კარგი იქნება, რომ ჩვენი ქალებიც პარტიობაში მონაწილეობის მიღებას თავს დაანებებდენ და ამით მავალიის წაბადვად ქართველთა საქალაქო სკოლის გასამართავად.

გ — თელსა

### კ რ ი ტ ი კ ა

მასუხი ქრონიკების პეტროსი თ. ჟორდანისა



მაზე სამწუხარო არა არის რა ცხოვრებაში, როდესაც საქმე გაქვთ ისეთ კაცთან, რომელიც არაფერს არის საშუალებებს არც ერთს, არც კილოს წამებას, არც თქვენი ნათქვამის გადამახინჯებას, არც ლანძღვა-გინებას, ოღონდ კი თავისი შებღალული პიროვნება, თავისი ჩირქოცხებული ზნეობრივი სახე გაათეთროს; მაგრამ კიდევ უფრო სამწუხარო და საეალალოა ის მოვლენა, როცა მწერლობის ასპარეზზე გამოსული მკვლევარი, მისტიკური და არხეოლოგი ასეთსავე შეუფერებელს საქმეს კისრულობს მხოლოდ იმ წერტილშიან თავმოყვარეობის დასაქმავიფლებლად, რომ თავის თავი შეუმცდარათ დასახოს და სპეციალურს საგანში, საცა მკითხველს ღონისძიება არა აქვს კვალ-და-კვალ ჩაუდგეს ასეთ უმართებულო მოქმედებას მისტიკრიგისა, ნისლსა და ბურუსს ჰყენს, რომ მდებარე მკითხველის თვალწინ ქეშმარიტება დაფაროს. „ქრონიკების“ პატრონი თ. ჟორდანისა მიაჩნდა განსაკუთრებით ჰქირებდია ასეთი ავადმყოფობა და ამისთანა თვისების მკვლევართან, თვითონ იფიკრე, მკითხველო, რანაირად შეიძლება დარბაისლური ბაასი მის ისტორიულ გამოკვლევებზე. კაცი, რომელიც თავის თავს აღიარებს შეუმცდარად და ყოველი კრიტიკული შენიშვნები მის თხზულებაზე ან პირად შეურაცყოფად მიაჩნია, ან მტრობათ და ამის დასამტკიცებლად აღარც კი-

ლისწამებას ერიდება, არც აზრების გადამახინჯებას, არც საბუთების გადამალვას, არც უმართებულოდ მოზაასს მოხსენებას, აბა, რა სახსენებელი უნდა იყოს იმ მეცნიერთან, რომელსაც დღეიწათ ამოს ქეშმარიტების ძიება და ყოველს კრიტიკას მხოლოდ ამ ქეშმარიტების აღმოჩენის გულისთვის სიხარულით, თავ-დაჭერით და ბრძნული შეხედულებით მიგებებ? კუდაზიკა მკვლევარი, რომელიც, რუსთველის სიტყვისა არ იყოს, მუდამ გიძინის: არა, არა „ჩემი ჰეობსო, უცილობლობს, ვითა ჯორი“, მითია განსხვავებული ნამდვილ მეცნიერთან, რომ ნიადაგ მართალს ამბინჯებს, კილოს-წამებას არც ერიდება, ლანძღვა-გინება მუდამ ენაზე აკრავს, მუდამ ცული ენებებით აღტყინებული მხოლოდ იმ განზრახვით, რომ მისი მოკირტყეს მსჯელობა შებღალოს. აბა, რა საკადრისია, ქეშმარიტების მოყვარე მკვლევარის მიერ ისეთი უშვერის სიტყვების ჩართვა „ქრონიკებში“ (იხილეთ „ქრონიკები“ თ. ჟორდანისი LVIII, LXXIX „შენიშვნა“), როგორც მავალთად „თავ-წასულობა“, „ყოყარობა“, „წირს გადასული თავმოყვარეობა“, „მუღლარბაზობა“ და ს. ან კიდევ „ოფოვები“, „ყბები“, „მეგობრიკანი“ „ჩხირზე მგდომარი პაწი მხედარი“, „კუმ ფეხი გამოყო...“, „უსტაბაში“, „მეცნიერების ბოლახი“, „ჰაერში ნაერაობა“, „ოფოფური თაფელბა“ და მრავალი ამისთანა დამჯდარო ტყუის მუპატრონის შეუფერებელი უშვერი სიტყვებზე (იხილეთ თ. ჟორდანისა სტატია „იერია“ № 111, 112). რამდენად სინდისიგად ეპყრობა ბ-ნი თ. ჟორდანია პოლემიკაში თავის მოკამათის აზრებს, ამის ნიშნად

მოვიყენებ შემდეგ ალავს (იხილეთ „ივერია“ № 112, ისტორიული ოჯახები“).

იმერეთის მეფის ბაგრატის შვილს გიორგის (გაბუჯა 1564 წ.), მისს ცოლს რუსუჯანს, მათს შვილს ბაგრატს და ვახაშვიანს ევლემოსს მუხრანელუბათ ბაგრატისგან დაწვეუებულ გელათის განახლებას, დაუსტყენებიათ ევლემო ორისავე ტარისა და მრავალ ახალ შეწირულობით აღუკისათ გელათი, ეს სწორეთ ას ჰინნი გასლაკან, რომელად (თუ რომელინი?) მსატრბის ისტორიის მენიერების პომეზს გ. წვერეთელს იგნო გიორგი აფსხიანს მუფედ († 955 წ.), ბაგრატ III-დ († 1014) რუსუჯანს მუფედ († 1246 წ.) და ამ ნაირად უოკელ საუყუნის მსატრბისას სსვაობის მტკიცედ მენიერებას სუთას-ქუქსისის წლით იგნო და მენიეროვლად გავტრება (და „ოჯახები“, ჟორდანიას სიტყვება), მერამ ამოად, ტუეილს მოკლე ფესი აქვს“.

აბა, ერთი ბძანეთ, თელი ჟორდანიად, როდის მოგახსენეთ, რომ გელათის დიდი ტაძრის ჩრდილოეთის კედელზე გამოხატული იმერეთის მეფეები: ბაგრატ III, მისი შვილი გიორგი II და ცოლი მისი რუსუჯანს მეცნოს მე მეათე და მეთერთმეტ საუკუნის აფხაზთა მეფეებად: გიორგად († 955 წ.) და ბაგრატ მესამედ, († 1014 წ.)? საიდან შეთხზეთ (კარობას ხომ ვერ გკადრებთ) ასეთი ცილის-წამება. ან რომელ ჩემ მიერ წარმოთქმულ საბუთიდან გამოიკვანეთ, რომ მე გელათის ჩრდილოეთის კედელზე დახატული რუსუჯანს, იმერეთის მეფის გიორგის მფულად, რომელიც ცხარებდა მეთექვსმეტ საუკუნეში თამარ მეფის ასულად, რუსუდანად მიმედოს, რომელიც ცხარებდა მეცამეტე საუკუნეში? განა შეიძლება ასეთი უტიფარი გადამახინჯება ჩემი სიტყვების? აბა, მიბძანეთ, სად მოგახსენეთ ასეთი უშეგრობა? განა საკადრისია თქვენი ასეთი დარბაზისე მტკონიკისთვის ამისთანა უშეგრობა. ცილის-წამება? ან იქნება მართლა თ. ჟორდანიას ფიქრობდეს, რაკი მე ვამტკიცებ, რომ ძველი წმინდის გიორგის ეკლესია გელათის მოწასტრისა აფხაზეთის მეფის გიორგის დაწვეულებულია—ეს გიორგი უსათუოდ, მისი აზრით, იმერეთის მეფე გიორგი უნდა მგვაროს, რომელიც გელათის ჩრდილოეთის კედელზე დახატული, ან იქვე დახატული იმერეთის მეფე ბაგრატია—საქართველოს მეფე ბაგრატ მესამედ წარმოემედგინოს, ან რუსუდანის შვილის დავით ნარინის ბრძანებით განახლებულს გელათის მატკონის ხატს რომ ეხსენებ, იმ რუსუდანთ მიმედოს, რომელიც ტაძრის კედელზეა გამოხატული? ანა ვეონებ, რომ ეს უშეგრობა დაწამება უმეტრებით, ან გაუგებრობით და წაურებობით მოსგლოდეს ბან ჟორდანიას. არა, აქ სულ

სხვა მისებური თვისება იხატება. ბანი თ. ჟორდანიას ხშირად კადრულობს მელის მაგიერად მელის კუდის ჩენენას, რაო და? იქნება თელი აუხვებო მკითხველსო, იქნება როგორმე ჩემი შეცდომები გადაუფურჩორო. ერთი სიტყვით კადრულობს კალხასობას, როცა ამ მოკვამ ვალუმოლა საბერძნეთის მენდართ-მთარებებს იუბიტრისადმი შეწირული ხაზინა, ასეთი ამის მოახდენად ის შემდეგ ნაირად იქცევა, როცა მის შემცდარის კვლევას გამოაშკარავენ, ის მაშინვე განიხებება, დამუხრება, ხან-და-ხან თითქმის ორი წელიც ვაივლის, რომ ხმას არ გაიღებს. შემდეგ, როცა მივიწყდება ყოველიფერი, წაკითხული მისი საწინააღმდეგო საბუთები ვადაიწყვდება ყველას, მერე უტბად გამოატყვერეს მელის კუდს და შექმის ქაქანს, მელა გაამობტარა. ამ სახით თვის თავს ქვეყნის მებურჯე მენიერად აღიარებს, ხოლო სხვებზე კი გაიძახის: ყველანი „ისტორიულის ოჯახების“ პატრონებს არიანო და ამის დასამტკიცებლად მოჰყვება ხოლმე ათას ნაირ ცილის-წამებას, აზრების გადამახინჯებას. სწორედ ამ გვარადვე მოიქცა ბანი ჟორდანიას ჩემთანაც ბასში. იმას უუიქრია: მოდი, გ. წვერეთელს რაც ამ წლინახერის განმავლობაში ჩემზე კრიტიკები უწერია, ყველას სასასუხოთ ერთ უშეგლებელს პარკუქას ცილის-წამებით გატენი, რაც იმან მართალი თქვა, მე დავისკვთობ და ჩემს შეცდომებს კი ყველას იმას მოვახვებთ თავგო. აბა, რას შემიტყობს ევლექეთილი მკითხველი, ან სად ემახსოვება იმას თითქმის ორის წლის წინათ გ. წვერეთელმა „კვლში“ რაც მე მაშილოა? და რაკი ასეთ ცილის-წამებას იმას მოვახვებთ თავზე, შემდეგ უმეტრებასაც დეწამებ, სასაცილოდაც ავიგდებ, მერე „ისტორიულ ოჯახების“ პატრონადაც ვაქვობო. ბანი ჟორდანიას ამისთანა ხერხი ახალი ხომ არ არის, სხვებზე-დაც ბევრჯელ იხმარა ბანი თ. ჟორდანიამ ეს ხერხი, მაგრამ ჩემ შესახებ კი ტყუილად გარჯილა. ჩემთან ასეთი ხრიკები მას არ გამოადგება. ცხადი ქეშმარტების გაქარწყლება ცილის-წამებითა და აზრების გადამახინჯებით უშეძლებელია და ვერც მივიცემ მას ამის ნებას. მე კვლად-კვლად ჩაუღლები მის მიერ გადამახინჯებულს ჩემს ისტორიულს მოწასტრებას და არც მარჯვით მივიცემ გადახვევის ნებას და არც მარცხით.

პირველად გავშიჯოთ, საიდან და როგორ გადაამახინჯა ბანი თელი ჟორდანიამ ჩემ მიერ წარმოთქმული აზრები“).

\*) ვინოვ „ვათხველს ამ სტატიის კითხვის დროს წაიხილოს ჩემი სტატეია „ბაგრატ მესამე იმერეთის, თუ ბაგრატ მესამე“. „კვლევა“ 1893 წ. № 30, 31 და „ვისი საშენს გელათი“. „კვლევა“ 1894 წ. № 13 და 14.

წაუკითხოთ ჩემი დასკვნა გელათის „აშენებლებზე“ (იხილეთ „კვალი“ № 13, 1894-ი.): 1) „გელათის მონასტრის შენება დავით აღმაშენებელზე ერთი საუკუნით ვიდრე უფრო ადრე უნდა დაწყებულიყოს; 2) ამ მონასტრის ეტყობა კვალი გიორგი აფხაზთა მეფის მონაწილეობას, მისი შვილიშვილის ბაგრატ მესამისა, დავით აღმაშენებლისა, დიმიტრი მეფისა და მათთა შთამომავალთა ბაგრატ მესამის იმერეთის მეფის დრომდე, შეთქმულსა სუკუნეშდის“.

ამას შემდეგ თვითონ მკითხველიც ნათლად დაინახავს ამ ჩემი თქმულიდან, რომ აქ ძალიან ვარკვეულად ჰყვრია, თუ რომელ ისტორიულ პირებზე ელაპარაკებ, ვინ ყოფილან გიორგი II აფხაზთა მეფე († 955 წ.), ბაგრატ მესამე აფხაზთა მეფე († 1014 წ.) და ბაგრატ მესამე, იმერეთის მეფე († 1562 წ.) მეთქვსმეტე საუკუნისა. ახლა მიბძანეთ, ბ-ნო თ. ჟორდანიას, სად არის აქ ბაგრატ მესამის იმერთა მეფის მაგივრად ბაგრატ მესამე აფხაზთა მეფე ჩემ მიერ ნაჩვენები? ნუ თუ ახლაც არ დარწმუნდება მკითხველი, როცა თავის თვლით ნახავს ასეთს გადამაზინჯებას ჩემი ნათქვამისას, თუ რა საზოგადოებრივება ცილსწამებისა ჰქონია ბ-ნ ჟორდანიას?..

ავიღოთ ახლა წარსული 1893 წლის „კვალი“ № 30, სადაც მე, აი, რას ვამბობ:

„მე აქ წარმოვადგენ ორს მხატვრობას: ერთს — გელათის კედლიდან \*\*“ გადმოღებულს ნახატს, სადაც ბაგრატ მესამის, იმერეთის მეფის, სახეა გამოხატული“ და სხე.

აქაც ცხადად დაინახავს მკითხველი, რომ მე იმერეთის მეფეზე ბაგრატ მესამეზე მაქვს მსჯელობა, რომელიც მეთქვსმეტე საუკუნეში ცხარეებდა და არა ბაგრატ მესამე აფხაზთა მეფეზე, რომელიც მიიკვალა მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში.

ახლა განიხილეთ ბ-ნ თედო ჟორდანიას სიტყვები („ივერია“ № 112 „ისტორიული ოფოფები“) — „ეს სწორეთ ის პირნი ვახლავანო (ესე იგი გელათის ჩრდილოეთის კედელზე დახატულნი), რომელიც მხატვრობის მეცნიერების ისტორიის ბოლახმა გ. წერეთელმა იცნაოე გიორგი აფხაზთა მეფედ \*\*\*“ († 955 წ.), ბაგრატ III-ედ († 1014 წ.), რუსულად მეფედ († 1237 \*\*\*“ წ.)“ და სხ.—და ცხადთ დარწმუნდებით, თუ რა თვისების მვისტორიისთან და მქონიკესთან უნდა გექონდეს საქმე.

თუ კი ბ-ნ თ. ჟორდანიამ თვალ-და-თვალ, სულ ერთი წელიც არ გასულა მას აქეთ, რაც ჩვენ ერთმანეთთან ბაასი გექონდა, იკარა მკითხველის წინაშე ასეთი სიცრუის ვაპარება და ცილის დაწამება, რა ნდობა უნდა გექონდეს მასზე, როგორც მეცნიერი მკვლევარისა და ქრონიკების კომენტარისა. მართლაც, რომ მისი ქრონიკები ისეა გამოცემული, რომ ზედმიწევნით მცოდნე ამა საქმის მეცნიერი, ესე იგი სპეციალისტი და არხეოლოგი პირდაპირ იტყვის, რომ მე ამ თ. ჟორდანიას ქრონიკებს, ისე როგორც დღეს არიან ისინი გამოცემულნი, ვერ ვენდობი ჭ ვერც ისტორიის უტყუარ სახელმძღვანელო საბუთებად მივიჩნევო, მე ისევე ხელმოკრედ უნდა გადავწინაჯავო ის მასალები, რომელნიც ბ-ნ თ. ჟორდანიას გამოუქვეყნებია, რადგან არ ვარ დარწმუნებული მათს სინამდვილეზე, როგორც არ შეიძლება შეიწინაგროს ნამდვილმა მკვლევარმა ისტორიისამ არც დიმიტრი კეკელიძის მიერ გამოცემული გუჯარები და არც პლ. იოსელიანის შემეცნებანი.

ვეცდებით ეს ჩვენი დასკვნა დასაბუთებით დამატკიცოთ ქვემოთ სტატიებში.

გ. წერეთელი

(შემდეგი იქნება)

\*\*\*“ შეთქმულსა სუკუნის იმერეთის მეფე გიორგი მე-II-ზე სრულებით სიტყვა არ მითქვამს, საიდან დამწამა, რომ ის გიორგი მეორედ აფხაზთა მეფედ მიმეწინაოს? სამწუხაროა, რომ სასცადლო არ იყოს ასეთი დახატულები თ. ჟორდანიასი.

ავტ.

\*\*\*“ ვახუშტის ქრონოლოგიით მეფე რუსულად მიიგვალა 1237 წელს, სინტურქუსთა გაჯიგით, ბ-ნ თ. ჟორდანიას საიდან ამოუღია, რომ ვითომც იგი მიიგვლილიყოს 1246 წ.

ავტ.

### „მომამბის“ პუბლიცისტიკა

(№ 3 ლ 4)

**მ**ომამბის\* მესამე ნომერში მოთავსებულია წერილი „მთავრობის მონაწილეობა სამეურნეო საქმეში“ ნიკ. კაცკასიძისა და „კრიტიკა“ ნ. ნიკოლაძის. დაეწყოთ პირველიდან.

სწორედ ვასაკვირვლია ერთი გარემოება. ავტორს რაჲდენი ხანია რუსეთის და საქართველოს მწერლობა დაუსტრომლად ღალადებს მეურნეობის და სამეურნეო განათლების მნიშვნელობის შესახებ. სამეურნეო ცოდნა—აი, საღ არის ხსნა, ერთხმად გაიძახის ყველა. მიუხედავად ამისა ხალხი თანდათან ღარიბდება, შიმშილობა ვარდება, თავის მიწა-წყალს თავს ანებებს და სხ. რას ნიშნავს ეს? მე ურნეს ეუბნებიან: შესწნ ხელობას არ მოეშვა, ეს არის დაუსტრეტელი წყარო შენი კეთილ-ღღეობისაო. მას კი თვალი ვანზე უჭირავს, ეს მოძღვრება ცხოვრებაში ვერ გამოუყენება და გავრება სულს უხუთავს. ან ამ ვეარ დარიგებებს ნიადავი არა აქვთ, ან განსახორციელებელი პირობები არ არსებობენ და მით უნაყოფიო რჩებიან, ან და მეურნეს თავისი პირდაპირი სარგებლობა ვერ შეუტუნია, „ქეშმარიტება“ ვერ შეუთვისებია. რომელია მართალი? ამის გასაცებად განვიხილოთ ბ-ნი კაცკასიძის წერილი.

ბ-ნი კაცკასიძის წერილი შემდეგ ყალბ ღღედაზრებებზე არის დაფუძნებული: 1) შესაძლებელია საშუალო იარაღების შეცვლა-განეთარება დამოუკიდებლად ცხოვრების სხვა მხარეების შეცვლა-განეთარებისა. თუ მაგ. უატმა ამ სასუტუნის დასაწყისში მოიგონა ორთქლის საშუალო მაშინა და მით მთელი წარმოება ვადიქნა, ეს უბრალო შემთხვევის ბრალი იყო, ასეთივე შემთხვევით შეიძლება იგივე მანქანა საშუალო სასუტუნებში მოგვრნათ და ცხოვრებაც ერთხმად ახალ გზას დაადგებოდეს; 2) საკმარისი მხოლოდ ერთი ქვეყნიდან მორჩევი გადაირება ტენზიკური სწავლა-ცოდნა, რომ იგივე ნაყოფი გამოიღოს; 3) შესაძლებელია აღორძინდეს ეროვნული შრომის ერთი დარგი (მეურნეობა), დანარჩენი კი პირველ ყოვანში დარჩეს.

ავტორი გვეუბნება: ბელგიაში ერთ ღღიურ მიწაზე 64 ფუთი ზორბალი მოდის, რუსეთში კი—25 ფ. (72 გვ.); რა უნდა ეილონათ, რომ ეს ოკიდახუთი სამოც-და-ოთხთი გუბეზნოთ? ბელგიაში თუ ამოდენა მოსავალი მოკავთ, ამის მიზეზი ის არის, რომ „სამეურნეო ტენზიკა უმაღლეს წერტილამდე არის ასული“ (იქ.). მაშასადამე საჭიროა მთავრობამ აგაძლიეროს სამეურნეო სწავლა-განათლება რუ-

სეთში; ეცადოს აგრეთვე. რომ ეცას ასეთი სწავლა-ცოდნა აქეს, მისცეს ღონე დაკირებებისა და გამოცდილების შემწეობით დაადგეს პრაქტიკულ მეურნეობას. ხოლო ეღრე გავრცელდებოდეს ხალხში სამეურნეო სწავლა-განათლება, საჭიროა, მთავრობამ იზარუნოს, რომ ვინც ღღეს უყვე მომზადდებულა და ამისთანა სწავლა-განათლება უყვე შეუძენია, მით გამოიყენონ იგი სწავლა-ცოდნა პრაქტიკულის ავრონომიისათვის. აი, ამ ღღეწანდელი არსებობის საჭიროებისათვის უნდა დაარსებულ იქმნას მთავრობის მიერ მოვლად სამეურნეო სადგურნი“. (77) ამით შეიცვლება ძირეული წესი და ტენზიკა გღეხ-კაცობის მეურნეობის“ (74). თანახმა ვართ, სამეურნეო ტენზიკა ძღერ განეთარებულია დასავლეთ ევროპაში საზოგადოდ და ბელგიაში კერძოდ, მაგრამ ერთი ეკითხით: რა არის ამის მიზეზი? ნუ თუ ის, რომ მოიხურვეს, შეიგნეს სარგებლობა და ისიც ვანდა? მაშ საკმარისია ჩვეწში ავტორმა მოინატროს რამე, რომ მაშინვე ხელთ-იგლოს. თუ არა და უნდა არსებობდენ რაიმე პირობები, რომ ეღღენი ცხელს უწყობენ და აიძულებენ მეურნეობის და სამეურნეო ტენზიკის აუვაებას როცა ეს პირობები გამოირკვევა, შემდეგ უნდა აიხსნას: მოიპოვება ჩვეწში ამწარივე პირობები თუ არა? ბ-ნი კაცკასიძე ამის შესახებ არის გვეუბნება, უფრა ადელი გზა აურჩევი, უებარი წამალი უპოვია: გამართეთ სამეურნეო სადგურები და საქმეც განაზღვრებო. მოიდი და ნოთ დაეკირებდა ასეთი გულ-უბრყულია მოსაზრება. ეთობა და ერის ცხოვრება ისეთ უგზო-უყველოდ დაეხეტება, რომ ვინც გინდა მიპარუნ-მოპარუნდეს, თავს ბოლოში უხშას და ბოლოს თავში. ჩვენ კი ვფიქრობთ, ნიეთიერი განეთარება რაიმე კანონს ექვემდებარება და არა ზოგეერთთა თეთინებობას.

აქსნათ ჩვეწნი აზრი მოკლედ. მასალად ბ-ნი კაცკასიძის იგივე წერილი გამოგვადება.

რუსეთში მეურნეობას მისღღეს 80%, ამერიკაში—50%, ე. ი. რუსეთში ას მცხოვრებში 80 მიწას მუშაობს, ამერიკაში კი მხოლოდ ორმოცდაათი (72). თუ კი რუსეთში გაცილებით მეტი რიცხვი შრომობს პურის, ქერის და სხ. მოსაყენად, ვინემ ამერიკაში, ცხადია მოსავალიც უფრა ბვეერი უნდა მოვიდეს. ნამდვილად კი ასე არ არის. 1878 წლიდან რუსეთმა საქვეწრა პურის ვაჭრობაში თავის პირველი ადგილი დაუთმოა ჩადლოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებს\* (65 გვ.) ვღვინილა? 50 მუშას მეტი ნამუშევარი მოკავს ვინემ 80! ეს იმიტომ რომ ამერიკაში მაშინებით მუშაობენო, მოგვიცებს ბ-ნი კაცკასიძე. ამაზე ვკითხოთ: რატომ 50 კაცს შეუძლია მაშინების შექენა და 80 კი არა? უკანა-

სწელი რიცხვი პირველზედ მეტი არ არის? ავიღოთ ბელგია. ას სულში 45,05 შეადგენს ქალაქის მცხოვრებთ, 54.95 სოფლისას\*). ამ 54 კაცს ერთ დღიურზე 64 ფუთი ხორბალი მოყავს, რუსეთის 80 მეურნეს იმავე სივრცეზე 25 ფ. საფრანგეთში 1851 წ. ას მცხოვრებში: ქალაქელები შეადგენდნენ 25,52, სოფლელები 74,48; 1872 წ. ქალაქელები 31,12, სოფლელები 68,88; 1882 წ. 33,50 და 66,50\*\*). რაკი სოფელი ასე იცლება, მამულს ტრეგებენ, მოსალოადნელი იყო მოსავლის ნაკლებობა და მიწის სიაფე. ჩვენ ვხედავთ წინააღმდეგს: ერთ ჰექტარ მიწაში მოიჯარადრე პატრონს აძლევს 1867 წ. 63 ფრანკს და 02, 1872 წ. 72 ფრ. 76; 1876 წ. 73 ფრ. 50\*\*\*). ამერიკაში 50 მეურნე ას კაცს კვებას (თავიანთ თავს და ქალაქში მცხოვრებთ) და კიდევ საზღვარ გარეთ გააქვთ, რუსეთში 80 მეურნეს იმდენი ვერ მოყავთ, რომ ჭკუი გამოიძღონ (თუმცა საზღვარ გარეთ კი გააქვთ). რას გვასწავლის ეს ციფრები? აი, რას:

1) ყოველივე ნაყოფი ადამიანის შრომისა მას შინ შრავილდება და ვითარდება, როცა მისი მოთხოვნილება, ფართო ბაზარი არსებობს;

2) სამეურნეო ნაწარმოებს დიდი ბაზარი ეძლევა მხოლოდ მაშინ, როცა ერი ორად იყოფა: ერთი ნაწილი მისდევს მეურნეობას და რჩება სოფლად, მეორე ნაწილი ხელს კიდებს ვაჭრობას, მრეწველობას და სხ. და ბინაელება ქალაქში (შრომის განაწილება) ამისათვის.

3) მეურნეობის განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია წარმოების და აღებ-მიცემობის განვითარებისაგან, რამდენად ძლიერდება უკანასკნელი, იმდენად წინ მიდის პირველი.

ბ-ნ კავკასიისთვის ეს, რასაკვირველია, მიუწევდნელი აზრია. მისი ჰაზრით საკმარისია ბძანება მალიდან, რომ ყოველივე გადაიქმნას ქვევით. მაგრამ წარმოიღვინეთ, რომ ავტორის მიერ მოწონებული ამერიკაში, სამეურნეო სამინისტრო დაარსებულა 1859 წ., ე. ი. მაშინ, როცა ქვეყნის მეურნეობამ უკვე გაშალა თავისი ძლიერი ფრთა და პირველობა დაიჭირა მთელს ხმელეთზე (იხ. წმ გვ.). მასასადამე მეურნეობის აღორძინების მიზნენ სამინისტრო არ ყოვილა, არამედ, როგორც ბ-ნი კავკასიიდე გვეუბნება, ყრძოთ თაოსნობა (77), თავისუფლება პიროვნების მოქმედებისა. იქ სახემწიფო პოლი-

ტიკა მხოლოდ ეხმარება ადამიანთა თვით-მოქმედებას და არა თვითონ იჭერს მის ალაგს. ასეა ყველგან დასავლეთ ევროპაში. მიეკით გზა ადამიანს, გაუსხენით შეგოქეილი ხელ-ფეხი, მიაკილეთ სულის შემუთველი მონაობა და ჩვენი „სამეურნეო“ მწერლები და ღაბა დაინდვენ, ცხოვრებას მიუხალოდენიან და ამიცნასაც გამოიკნობენ, თვარა რამდენიც უნდა ევცოდნენ, ბ-ნო კავკასიიდე, დანაკლთა ბოქკას მიინც ვერ გაავსებთ, იმიტომ რომ ძირი არა აქვს. ჯერ ეს ძირი გაუყეთეთ და შემდეგ მოგვეკით დარიგება „სამეურნეო ტენიკისა“ და „სამეურნეო ეკონომიის“ შესახებ. მანამდე კი ხმა თქვენი რჩება ხმად მღალადებელისა უდაბნოსა შინა.

ცოტა რამ ბ-ნ კავკასიის ქალაქებისაგან: „მართა ბძძანებისა და მიწურ-მოწურის წყალობით არ აღორძინდება დაქვეითებული მეურნეობა“. მაშ რთგორ? „საჭიროა ამასთანვე ადგილობრივი მუშაობა, საჭიროა ოფლის ჩაღერა დედა-მიწაში (თითქოს ოფლის ჩაუღერებლად კი შეიძლებაღეს მუშაობა), საჭიროა სწავლა-განათლების საქმეში გამოყენება“... (81). რა ნაირად უნდა განხორციელდეს ეს ღამაში სიტყვები? დაარსება სამინისტროსი, გამართვა საღმურებისა, დაყოფა თითოეული მაზრისა საფარონამიო ნაწილებად ისე, რომ „თითო აგრონომს 1,000 კომლზე მეტი არ შეიძლება ჩაბარდეს“ (76), ე. ი. იმავე მიწურ-მოწურით, რადგანაც, როგორც ვიცით, ქვევით არაფერი კეთდება, თუ ბძძანება არ მოვიდა მალიდან; ეს ამდენი ჩინონიკა-გარონამები, რომელნიც ხალხს კისრად აწვევიან კიდევ უნდ მეტი.

მეორე მარგალიტი: „ქვეყნის სამეურნეო საქმე კი ისეთი ბუნებისაა, რომ მის წარმატებასა და აღორძინებაში უზარტესი მნიშვნელობა ადგილობრივი დაწესებულებათა აქვთ, იმ დაწესებულებათა, რომელნიც პირდაპირ იმოქმედებენ მოსავლის სიუბეგე-გამრავლებაზე“ (81). ბარემ, ბატონო, მთელი ქვეყანა დაწესებულებებთა აქციეთ და მეურნენიც ჩინონიკებთ დანიშნეთ, მაშინ უფრო ახლო იქნებით იდეა-აღთან. არა, რაღაცა მოუუჯადოებია ჩვენი ქვეყანა, თვარა რაღაც მარტო ჩვენში აღარაფერი კეთდება უდაწესებულებით.

ახლა პოლიტიკური ეკონომიიდან: „ამ სახით, ერთი უპირველესი საგანი გონაყრულის (ვეტორის კურსიგია) მეურნეობისა ის არის, რომ, რამდენათაც შეიძლება, მეტი მოსავალი მიიღოს ყოველ იმ მცენარეთა თესვით, რომელიც უკვე გაფრტულებულია“ (70), ე. ი. მეტი შემოსავალი ჰჯობს ნაკლებსო! ამის ქადაგებაც საჭიროა ყოვილი! ვითომ და თუ კი ისეც არ გავებება ხალხს, რაღა გავაგონიერებს დაწესებულებასა და წყალებს გარდა?!

\*) იხ. „La vie des sociétés“ par Bordier 1887 P.

\*\*) ibid.

\*\*\*) „Cours d'economie rurale“ par. Ed. Lecouteux, tom I 1889. P.

ახლა გადავთავლიწროთ ბ-ნი ნიკოლაძის კრიტიკა, რომელიც შეეხება ბ-ნი გ. წერეთლის თხზულებებს (პირველი ტომი).

ბ-ნი ნიკოლაძეს ახიერებული აზრი შეუდგენია ბელეტრისტიკის და კრიტიკის დანიშნულებაზე. „ზოგიერთ სხვა გაშლილ ქვეყნებსავე ერთგვარი და ერთფეროვანი კი არ ყოფილა ჩვენი ქვეყნის ბუნება და ცხოვრება, რომ მთელ ხალხს ერთნაირი ხასიათი, ერთნაირი ზნე, ჩვეულება, თვისება და მისწრაფება ჰქონოდა. ჩვენში თითოეული ხეობა, თავისი განცალკევებული, მტრეგებელი ცხოვრებით ატარებდა თავის სიცოცხლეს, მიიღო საუკუნოების განმავლობაში. ამის გამო ზემო-მხრელის ხასიათი ეკელისას არ ჩამოვარდა, და ზღვის-პირელისა—მთილისას... ამ გარემოებამ დაბადა ჩვენში მეტის-მეტე მრავალ-ფერობა ხასიათისა, ზნისა, მიდრეკილებისა, ჩვეულებისა და თვითენისაც, ასევე გასინჯეთ, ამდენი სხვა-და-სხვანაირი ხასიათის კაცი ტრიალებს ჩვენს ცხოვრებაში და ბელეტრისტიკამაც ამათი შესწავლა და დახატვა უნდა დაისცას თავის მოვალეობად.“ (146—147). მართალია ჩვენში ბუნება უფრო მრავალ-ფეროვანი იყო და არის, ვინმე გაშლილ ქვეყნებში, მაგრამ ნუ თუ ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენში ცხოვრებაც რთული და მრავალ-ფერი იყო? ნუ თუ ერთ-გვარი ბუნება სადა და მართვ ცხოვრებას ბაღებს? მაშინ ინგლისის და საფრანგეთის ცხოვრება გაცილებით უფრო მარტივი უნდა იყოს, ვინმე ჩვენი? ხასიათი, მიდრეკილება და სხვა პირადი თვისებებიც მიღეულ-მისუსტებული იქნება ამ განათლებულ ქვეყნებში რაეუყოთ, რომ ძველად თითოეული ხეობა კარ-ჩაკეტილი იყო? ვინა ეს მართა ჩვენი ისტორიის საკუთრება? ეს ხომ შედეგია ფეოდალური წყობილების, რაც ეწრობამ თავის დროზე გაიარა, ჩვენ კი შიგ მოგველო ბოლო. აქ გარჩევა მხოლოდ დროშია და არა ცხოვრების თვისებებშია. პირიდანვე გაუტეხელ ბუნებაში ადამიანის პირადი თვისებები რთული, მრავალ-გვარი იყო, გვარწყუნებს ბ-ნი ნიკოლაძე, აქედან ცხადია, როცა ეს ბუნება ადამიანმა შელახა, გაეერთიანა, სისასტიკე და ძლიერება დაუკარგა, პიროვნება უნდა დაწვილიმანებულიყო, გაერთიანებულიყო და საზოგადოებაც რთული ცხოვრებიდან მარტივზე უნდა გადასულიყო. ნუ თუ მართლა ასე მოხდა ეს? რასაკერძეელია, არა. წინააღმდეგ ბ-ნი ნიკოლაძის მოსაზრებისა ისტორია ჩვენ გვიჩვენებს: როცა ერთი დასურდაგებულია, თითოეული მისი ნაწილი საკუთრად ცხოვრობს, მაშინ ცხოვრებაც სადადა. პირადობა განუერთებელია, ერთის მე“ დიდ და არ განიჩრევა მეორისაგან, აქ არის ბრბო და

ბრბო პიროვნება; ხოლო როცა ერთი ერთდება, საერთო უღელს ეწევა, ცხოვრებაც რთულდება, პიროვნებაც ერთადდება, ხასიათი მრავალ-ფერდება, აქ არის პიროვნება, შეგნებული მოქალაქე და არა ბრბო. ამის გამო ისეთ ერთგვარ ბუნებაში, როგორცავე ევროპა წარმოადგენს, საშინელი რთული და სხვა-და-სხვა მოვლინებებით შეზავებული ცხოვრება ტრიალებს.

შეიძლება ბ-ნი ნიკოლაძე რასიულ (ტომობით) თვისებებზე ლაპარაკობს, მაგ. [ქართული ფიციბია, ქართული დნიჯი და სხ. ამ შემთხვევაში მწერლობის დანიშნულებაც რასიული ტიპის დასურთახტება, ტემპერამენტების აწერლობა ყოფილა. ავილოთ, მაგ. ბ-ნი გ. წერეთლის მიერ შექმნილი ტიპი „კულაბიკა“. რა მხრით არის ეს სანტერესო ბ-ნი ნიკოლაძისთვის? მით, რომ ის იმერელია, იმერული ხასიათისა და არა ქართლელი, ანუ ქიხეყელი? ჩვენის ჰაზრით, გ. წერეთელი გვიხატავს „კულაბიკის“ არა, როგორც რასიულ ტიპს, არამედ როგორც საციოლოგული ტიპს, რომელიც შესაძლებელია მოიპოვებდეს მთელ-საქართველოში და არა მარტო ერთ-კუთხეში. „კულაბიკას“ დასახსიათებლად ბ-ნი ნიკოლაძეს მოჰყავს გ. წერეთლის თხზულებებიდან, სხვათა შორის შემდეგი: „მე იმ კაცს გვერდში რაფა ამოუდგებო, ვისაც ყახხურად აცუია... რომ ვინმე შეგვეყვას, მეც ყახხას არ დამიძახებს?“—ამბობს „კულაბიკის“. რა არის აქ, სალაპარაკო კითხვის გარდა, განსაკუთრებით, იმერული? რატომ ქართლელი, ან კახელი არ იქნება ამ გვარიზე შეხედულობის? აი, მეორე გმირი „ბაკურა“ (ბ-ნი ნიკოლაძე იმას არ იხსენებს). კულაბიკას და ბაკურას შორის მომხდარი ბაასი (რაც საქარა ჩხუბად ვადაიქცა) ბატონ-ყმობის შესახებ საზავალითოდ არის დასურთებული (გ. წერეთლის თხზულებანი გვ. 75—77). აქ ცხედვით ერთი მხრით შეგნებული მომქმედ ახნაურ ბაკურას, მეორე მხრით სტვის ფეხის ამყალს, სხვისი სატყვების (ჩიკოლიკის) შეუგნებლად მროშავს ახნაურს კულაბიკას. ეს ორი პირი წარმომადგენელია მინიწლილი მიმდინარეობისა: ძველებურის, ბატონ-ყმობის (ბაკურა) და ახლის, ჩინოვნიკურის (კულაბიკა). აი, ამ მხრით არიან სანტერესო ეს ტიპები და არა მთი სიდიცებით, თუ სხვა რასიული თვისებებით. აგორივე სეანი ძალიან თავისუფლების მოქმედებთ კაცია—ლიმილით წამოიძახა ჩიკოლიკმა—მაგას გლეხებზე გული ტკევა, რადგანაც თვითონაც თავისუფალია თავის ქვეყანაში“. (73, იქ). ნუ თუ ამისთვის გიორგი სეანი რასიული ტიპია? სწავთში თავისუფლება ყოფილა, რატომ სხვაგან არ შეიძლება ასეთივე თავისუფლება. თავისუფლება ხომ სოცია-

ლოგიური მოვლენაა. ერთი სიტყვით ბუნებას და ადამიანს შუა არის მთელი სამეფო, ეს ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა: პიროვნებაც თავისი ხასიათით, მიდრეკილებით, ზნეჩეულებით და სხ. ღვიძლი შეიღია ამ ურთიერთობისა. ბელეტრისტიკაც აქ, მხოლოდ აქ; უნდა იღებდეს მასალას თავისი შემოქმედებისა.

ბ-ნ ნიკოლაძეს თავისი შემტლარი ღვდა აზრიდან ლოლიკური დასკვნაც შემტლარი გამოუყენანია. ადამიანის ტემპერამენტი, ჩასიული თვისებები, საზოგადოდ მუდმივი და უცვლელი ჩრებიან. რაკი ამ მხრით გადავხედოთ საზოგადოებას, ცნადი, ცხოვრებაც უცვლელად და ერთ ალაგს გაჩერებულად გამოგვიჩნდება. ბელეტრისტებსაც ადვილი საქმე აქვთ: დახატე იმ მხარისა, რაც მის წინამორბედს გაუშვია. სწორედ ისე, როგორც, მაგალითად, მხატვარი რამე შესანიშნავ შენობას დაგვიხატავს ხოლმე: ერთი ვადმოიღებს მხოლოდ იმ კუთხეს, რომელიც მას მოეწონა, მეორე, რაკი ეკლდინება, რომ ეს კუთხე უკვე ვადაღებულია, მერეს შიკოვს ხელს. ასეთია ბ-ნ ნიკოლაძის შეხედულობა ბელეტრისტიკის შესახებაც. არ გჯერათ? აი, მისი სიტყვები: „მწერლობამ ცხოვრება უნდა დაგვიხატოსო, ავეცხსნასო, რომ ამბობენ, ნუ თუ მხატვარმა არ უნდა იცოდეს ამ ცხოვრების რომელი მხარეა დახატული და რომელი დასახატი?“ (139). კი ბატონო, კი უნდა იცოდეს, მაგრამ ეს არ კმარა. ცხოვრება დაუცხრომელ ღუღილშია, მუდამ ღლეჯს და მოძრაობს, ეთარღება და იცვლება. ბატონ-ყმობის დრო ღღევანდებს არ გაესმერმისიც ღღევანდელს არ ემზავსება. რა ნიორად გეაჩეროთ ეს მოძრაიე არსება, რომ ბ-ნ ნიკოლაძის პლანისამებრ აიწეროს? თუ არა და მწერალმაც მუდამ განახლებული ცხოვრება უნდა გვიხატოს, ხოლო ამისთვის საჭიროა იცოდეს, არა მარტო ის, რაკ უკვე დაუხატავთ, არამედ თვით დასახატი საგანი როგორ შეცვლიდა, რა განვითარების გზას დადგამოა. თანახმად ამისა მწერლობაც მოძრაობაშია, ცხოვრებას ფენ-და-ფენ მისდევს და ნამდვილ დახმარებას უჩენს.

ბ-ნ ნიკოლაძეს კრიტიკა მწერლობიდან გამოუჩიოცხავს. მისთვის ისეთი როლი მიუნიჭებია, რაკ გორიოაც მსაჯულია დაქუერილი ერთის ვასამტყუნებლად და მეორის ვასამართლებლად. იმ გუნების მოძრაობას რომელმაც თანამედროვე ჩენი მწერლობის შრომა გამოიწვია, ჯერაც არ უთქვამს თავისი უკანასკნელი სიტყვა (?). თვითონ ეს შრომა ერთობ ახლოა ჩვენზე, მას ნაკოფე ჯერ საქმარისად არ ეგამოუღია.“ ერთი სიტყვით ამ დროის პერიოდი ჩენი მწერლობისა არ დაბოლოებულა და არც ახალი

სხვა პერიოდის წინამორბედი გამოჩენილან. ეს ყველაფერი უშლის კრიტიკას, სრული და მარტივი მსჯელობა შეადგინოს ახლანდელ მწერლობაზე“ (140). ძნელი გადავებია, რას უწოდებს პატიცემული ავტორი იწერლობის უკანასკნელ სიტყვას. განა მწერლობას და განსაკუთრებით ბელეტრისტიკას შეუძლია თქვას უკანასკნელი სიტყვა? მწერლობა ხომ ცხოვრების გამოხატულებაა. თუ ცხოვრება ერთ წერტილზე გაყრნულა, როგორც ფიქრობს ბ-ნი ნიკოლაძე, მაშინ მართლაც როცა ყოველ მხრივ დასურათებენ, ჩენი ავტორის დაჩრებობამებრ, მწერლობასაც უკანასკნელი სიტყვა ნათქვამი ექნება. მაგრამ, როგორც ვიცი, ცხოვრება შეუწყრებლად მოძრაობს, ის რაც ღღეს უკანასკნელი სიტყვა ჰგონია, ხვალ დაძველებულ-დახვეწული წარმოდება თქვენს წინაშე. ის მწერალი, რომელიც დაჩრწუნებულია, აი, ახლა ვთქვი უკანასკნელი სიტყვა ჩენი ცხოვრების შესახებო, ამტკიცებს მხოლოდ თავის თავის უსუსურობას, უკან ჩამორჩენას, გონებრივ სიკოტრეს და მეტს არაფერს. მეორედ, ბ-ნი ნიკოლაძის აზრით ჩენს მწერლობას ჯერ პირველი პერიოდიც არ დაუსრულებია. არ ვიცი, რითი ხელმძღვანელობს ავტორი პერიოდების განსაზღვრა-განსხვავებაში. ჩენ კი სალიტერატურო მოძრაობის ფოსლოტებს (ფესეებს) ცხოვრებაში ვეძებთ. ნუ თუ ჩენს ცხოვრებაში ამ 30 წლის განმავლობაში შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა? ბ-ნ ნიკოლაძის შეხედულობით ცხოვრება გაჩერებულია, მასხალადმე პერიოდიც ვერ დაბოლოავდებოდა. ჩენი შეხედულობით კი ცხოვრება მოძრაობს და უყოფოთ პერიოდიც უნდა ჰქონდეს: ხანა ღღდის რეფორმებისა და ხანა განახლებული ცხოვრებისა. (ამ გვარი ხანების განსაზღვრა წლებით იკიან, მაგრამ ეს ჩენ შეცდომაში შეგვიყვანას). პირველ ხანაში მწერლობა ბატონ-ყმობის გარეშეშო ტრიალებს, ებრძვის ძველ წყობლებს და ახალ რეფორმებს ნიადაგს უმზავდებს. აქ პირველ ალაგს იქერენ იღ. ჰაუჰაძის ნაწერები. მეორე ხანაში ჰხდება ცხოვრების რყევა, ეკონომიური ურთიერთობა ახალ გზაზე გამოდის, გუშინდელი ძლიერი ამა საულისა უცებ ქვეითი ვარდება, მის ალაგზე სკუპდება ვილაც სრულიად უცნობი. ლუარსამ თათქარიძეს თანდათან ეყარება ძალი და მნიშვნელობა, სამაგიეროდ მოედანზე გამოდინან ერთის მხრით იერემია წარბა და ღვეით დროიმე, მეორეს მხრით ბანეა ფულავა \*) და მოსე მწერალი \*\*) (ეს კუდაბზიკის შთანამავლობაა). ამით ჩრებათ ბუროთი და მოედანი. აქ უპირველეს ალაგს იქერენ ეგ. ნინოშვილის ნაწერები.

\*) იხილეთ რამინი „პირველი ნაბიჯი“ #ცდ“ 1890, 1892 წ.  
 \*\*) იხ. ეგ. ნინოშვილის „სიამონა“ და „შაბაძე“ № 1 „მოსე მწერალი“



ამ ხანას ჩვენი მიყვებართ განვითარების უმაღლეს საფეხურზე, რომლის ახლოს უკვე მივდით, მაშინდელ ფეხი კიდევ ჯერ ვერ მოვიმარებთ ზედ. ეს არის ხანა წარმოებისა. ამას ჩვენი მწერლობა ჯერ არ შეუხებია. ამ გეგარად საქართველომ უკვე გადათელა ორი პერიოდი და მესამეს მიუახლოვდა, ბანი ნიკოლაძე კი გვარწმუნებს ჯერ პირველსაც არ დავცილებითარო. ახალი პერიოდის (მეორის) წინამორბედი კი ხანა გამოჩნდნ და თუ ბანი ნიკოლაძეს არ დაუხანავს, რა მათა ბრალია.

თუ გნებავთ ერთ წუთში დავეთანხმებით ბანი ნიკოლაძეს და ვკითხავთ: რატომ კრიტიკა პერიოდს უთუოთ ბოლოში უნდა მოვხას და არა თავიდან გამოვეყს? კრიტიკის რატომ მსაჯული უნდა იყოს და არა ცხოველების გაუმგებლობისათვის მებრძოლი? ვანა კრიტიკამ წინდაწინ არ უნდა ვაუკელიოს გზა მწერლობას, მისცეს მიმართულება აზრთა მიმდინარეობას, გამოიყენოს ახალ-გაზღვრა საშუალება ასარჩევზე, თუ კრიტიკის უბრალო განჩინების დამწერია, როგორც მომრიგებელი მოსამართლე მომჩინა-მოპასუხისა?

ამ სახით ჩვენი გაგვიჩიეთ ბანი ნიკოლაძის კრიტიკა და გამოვეყავს შემდეგი დაცენა: ბანი ნიკოლაძის აზრით ბუღურისტიკამ უნდა ხატოს რასიული ტიპი, პრაგმატიკა თვისებებით და განსაკუთრებით ტემპერამენტით აღჭურვილი, ჩვენის აზრით კი—სოციალიზაციური ტიპი; ბანი ნიკოლაძის აზრით ცხოველებს უნდა დინეზე დგას, განჭრებულა; ჩვენის აზრით კი—მუდამ მდებარეებს და ვითარდება; ბანი ნიკოლაძის აზრით ჩართულ ცხოველებს და მწერლობას ერთი მუროდიც არ გაუვლია; ჩვენის აზრით კი მესამესთანაც მივსულიართ; ბანი ნიკოლაძის აზრით კრიტიკა უბრალო მანანხლად, ბოლოში მომეული გუდი, მწერლობის და ცხოველების განჭრე მდგომი მსაჯული, ჩვენის აზრით კი ავთა მწერლობის გზის მანჭრებელი, ამსხველი და გამჭრეველი, ცხოველების წინ-სვლის საუკეთესო იარაღი.

ჩვენი პატრიცეული პუბლიცისტი თავის კრიტიკის ბოლოში ერთნაირ ფილოსოფიას გეგვადგებს. მერე იცით რას? ფილოსოფიას ზომიერებისას, (ერთომ ბევრს რასმე ვაკეთებთ), აუტარებლობისას (ნამეტანს კი ვჩაქართ, აი!), მოთმინებისას, უკაცრავად, განჭრებისას. ის უსაყვედურებს ბანი გ. წერეთელს, ძლიერ ცხარობდ, სხვის საქმეში ერეოდი, მე კი ისე ვაკეთებდი საქმეს, რომ დაბადებული კაცი ვერ გებულობდაო. როდის აღმოჩენილა ეს სიბრძნე? 1863 წ. ე. ი. მაშინ, როცა ქვეყანა ცხარობდა, ქვეყანა მოძრაობაში მიდიოდა. აი, ფილოსოფიაც: -კი-ზეზე ასასვლელად, ასამაღლებლად, კაცმა და ერმა ჯერ პირველ ნაბიჯზე უნდა მოიმაროს ფეხი, მერე მეორეზე და აგრეთვე სხვებზე“ (ეს კი გასაშტერებელია, თურმე ბანი ნიკოლაძეს სწამს ცხარების მოძრაობა, მაშინდელ უეჭველად თავისებურად, ე. ი. თითველი საფეხური იმოდენა რამ არის, რომ იმის გადავლა აღმინას არ მოესწრება, თორემ რაღა ისე წახდა მთელი საქართველო, რომ პირველ საფეხურზედაც ამდენ ხანს ფეხი ვერ მოიმარა). ნეტავ ბანი ნიკოლაძის კიბზე ამსვლელს რაიმე მოზანი აქვს, თუ ადის იმიტომ, რომ ავიდეს. ე. ი. ტუყულიად, მუხლების-სავარჯიშოდ? თუ მოზანი აქვს, უთუოდ პირველ საფეხურზედაც ასსოვს, მეორეზედაც და შემდეგ ბოლომდის. არა თუ ასსოვს, არამედ აქედან იღებს ცხოველ-მყოფელ ძალას, ეს არის მისი მუჯლუფუნის წამკრელი და გამამხნეებელი, მიმართულების მიმცემი. მაგრამ ბანი ნიკოლაძის ფილოსოფიას სულ სხვა ნაირი სარჩული უდევს; ეს არის ფილოსოფია შერწყმისა, ბალი-აღობისა, თვკანწურობისა (გაიხსენეთ შერდირისი „Голопяты“). და ეს რომ ნამდელია, ამას გავიგებთ მისი მეორე წერილიდან, რომელიც მოთავსებულია „მოამბის“ მე-IV ნომერში სახელწოდებით „უცხოეთის ქრანიკა“.

3. პეტრიძე

უ ა ხ ა ლ ი

(მოხსრობა)

VIII.



რ ვითხარი, შვილო, ეგენი არ დავინდობენ მეთქი? ხომ დამიმწარე სიბერე, ხომ დამისხი ცეცხლზე წყალი, ვილას უტოვებ შამიშენის დადავულ ოჯახს და საცოდეს შენ დედას, დას. ეი-

ლაა, შვილო, მრჩენელი, შემხედვარე. რატომ ფეხები არ მოტყუა საცოდეს დედა შენს და აქ წამოვიდა. ამ გვარი გულ-დასათუთქვი სიტყვებით ეთხოვებოდა თავის ილიკოს გამწარებელი და ლოყებ-ჩამოფხრეწილი დედა მისი, როდესაც სპირიდონა მამასახლისმა გაბაწრა და სატუსალოში გავგზავნა. მართლაც ეს იყო და ეს. დღემდე ილიკოს ოჯახი უფრო გავხრდა და ვათასიროდა. ეინ იყო საბრალო ილიკოს დედის ყანის დამთესი, ან შეშის მომტანი, ან საქონლის მომვლელი—თუ არა თვითონ მოხუცებული




სამსახური გაგვიწიეს ჩვენმა მეგობრებმა, რომელთაც დაეზარათ მარტივი ცნობის დროზე გადმოცემა: „ჩვენი ეგნატე აღარ გეყავის“. განა მოვიფიქრებდი, რომ შენს დაკარგვას, აქ უცხოეთში, გავიგონებდი? განა წარმოვიდგენდი, რომ კვლავ ჩვენს სამშობლოში ვეღარ გიხილავდი? მართალია, გამოთხოვების დროს დამზარე: „იკოლე, ცოცხალი ვეღარ დაგვხვდებითო, მაგრამ ეს კი მჯეროდა? ამისი დარწმუნება კი მინდოდა? სად არის ეს შენგან გამოთვლილი სამი თვე? თურმე მაშინ ჩამდენიმე დღე დაგრჩნოდა, თურმე მაშინ ზურგი შემოგაკეციე და სამარის კარებისკენ გაეჩქარე. რამ აკაჩარა? რამ დაგატოვებია ასე მალე ჯაჭვ-შემორტყმული სიცოცხლე? არა იმათ, რომ შენ იყავი სხვისი გულ-შემატკივარი, დაუღალავი მუშაკი და სიმაართისთვის მებრძოლი? შენ არ იყავი განსაკუთრებული ტანჯვა ჩვენი ხალხისა? ცხოვრების გულიდან შენ არ გადმოკვინდა დაუსრულებელი გმინვა და ოხერა დავრდომილთა და მაშერაღობთა? შენ არ ჰქუხდი მაშინ, როცა ხალხი ჰქუხდა? შენ არ ტიროდი მაშინ, როცა ერი ტიროდა? ბნეფთა ტანჯვა-ვაგბამ შენში არ იშოვა საუკეთესო გამოშხატველი? შენ იტვირთე ისეთი მძიმე საქმე და კიდევაც მოგიტანა ქვეშ, დიდ ხანს ვეღარ გაუძელ, შენმა ნაზ გრძობებმა, კაცობიერად გულმა გარს შემორტყმული გმინვა ვეღარ აიტანა... ამ საშინელ სანახავს თეალი მოაჩრიდე და მოკოლდი... დიღ, მოკოლდი, მაგრამ არა, როგორც

ლაჩარი, სასოწარკვეთილი არსება, არამედ როგორც გმირი, იარაღით აღჭურვილი, და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მებრძოლი. აი, ამ საშიშარ ასპარეზზე დაგეტოვე და დაგეზარე: მე დავიღალე, ახლა თქვენი ჯერიაო. საღაა შენებარ სულის სიძლიერე, შენი რიხიანი და მკვლერითი აღმდგენი ხმა? აღარსად, გაჭკრა, მიწყნარდა. დაობლდა ჩვენი შვერობა. მას გამოეცალა ერთი უმაგრესი ბოძი, დაობლდა ჩვენი საზოგადოება, მას გამოაკლდა მუდმივი მღალადებელი. ჩამოხვეთ ქვეთ, ჩვენკენ. აქ დგას ზღვა ადამიანთა ცრემლისა, მდინარე მათის სისხლისა... დაობლდა ჩვენი ხალხი, მას მოწყდა მისი ქმუნვა-ვარამის მჭეერმეტყველურად გამოშქმვლი; დაობლდა ახალგაზდობის ის წრე, რომლის სულის ჩამდგმელი შენ იყავ, დავობლდი მე, დაეკარვე უძვირფასესი მეგობარი და განიერი მჩხვეელი. დეე, შენი კეთილშობილური აზრები, მტკიცე და მოუყიდველი ხასიათი და მოძმეთათვის თავის დადგება დარჩეს ჩვენს ახალგაზდობაში სამარადისო სახელმძღვანელოდ...

ძმარ ეგნატე, ცრემლთა-ფრქვევით და მუხლ-მოღრკით თაყვანს ეცემ შენ საფლავს და სამუდამოთ გეთხოვები. მშვიდობით. მშვიდობით, ჩემო დაუციწყარო ძმარ, ეგნატე?..

ნიე უორდნია

ქ. უენევა 14 მაისი



**ჩამდენიმე სიტყვა განსვენებულს მისმა ნინო-შვილს შესახებ.**

„სიცოცხლე მოგვევა ჩვენ იმ პირობით, რომ გადავიცვლოთ. ეს არის წბოლოდ ერთი ფენის წადგმა ვადცვდისაყენ.“

სენეა.



რ გაუღვლია ექვს თვეს მას აქეთ, რაც ქართულს ლიტერატურას დააკლდა ერთი ვარსკვლავი— ალექსანდრე ყაზბეგი, რომელმაც თავისი შეწინებრი და გრძობიერი ნაწარმოებით გაამდიდრა ქართველის ათთავრანობიერება და აღამილა მისი სული. აი, ახლა ჩვენ გვესმის კადე ძიოვრ სამწყხარო ამბავი: ქართველის ბელეტრისტის ეგნატე ნინო-შვილის გადაცალდება; ესეც დაკარგვა ქართულის განახლებულის ლიტერატურისთვის.

ეგნატე ნინო-შვილი მე გავიცან შარშან „კე-

ლის“ რედაქციაში, სადაც დავიწყეთ ლაპარაკი ქართველთა და სომეხთა ურთიერთობის შესახებ. მის მოპწონდა ეს აზრი და უნდოდა კიდევ, რომ ქართველებს და სომეხებს ერთად ემოქმედათ თავიანთ საკეთილ-დღეოთ... ამისთვისაც აქებდა „კეპლის“ მიმართულებას, რომელმაც სომეხთა და ქართველთა ურთიერთობის კითხვა პირველათ აღძრა; აი, აქედან შევიტყე, რომ ეგ. ნინო-შვილი ახალი მიმართულების კაცი იყო. ამ დროს განსვენებული ვერ ლაპარაკობდა, ხმა ძრიელ ჩახრინწიანებული ჰქონდა და ჩქარ-ჩქარა ისვენებდა. ამ ნიშნებით შევაცტე, რომ ურჯულთა კლექ უკვე დაბინიანებულიყო იმის ფილტვებში.

გადაცალებული ნინო-შვილი ძალიან თავდაბალი, კეთილი ზნისა და პატიოსანი კაცი იყო; ახლა ის იღვა იმ ასპარეზზე, სადაც თავისი ნიჭით შეეძლო დიდი სარგებლობა მიეცა ქართველთა ლი-

ტერატორიისთვის, მაგრამ შეუწყნარებელმა სიკვდილ-  
მა მას უღროთო ბოლო მოუღო.

ეს კეთილი კაცი ცხოვრება მხოლოდ თავის  
ერისათვის ფიქრობდა თავის გვარტომობისათვის, იმისი  
საქმე საქვეყნო-საერთო იყო და არა კერძო, ამისა-  
თვისაც მისი ხსოვნა უკვდავია, რადგანაც ერთობას  
სიკვდილი არა აქვს. ნინოშვილი ახლა მკვდარია,  
მაგრამ იმისი ნაწარმოებები მის მივიგრად ქადაგებენ  
და ლაპარაკობენ ნინოშვილის წადილებს...


ვენატეს ისე უყვარდა ლიტერატურა, რომ ავად-  
მყოფობის დროსაც თურმე ცდილობდა თავისი ახა-  
ლი მოთხრობა „პარტახი“ განეგრძო და ამ მოთ-  
ხრობის წერაში სული ამოხდა.

საყვარელო ვენატე! ცაში შენ ახლა ბედნიერი ხარ,  
მაგრამ კარგი საქმეები ქვეყანაზედაც გავიკეთებია, ინუ-

გეშე მითი, რომ მემკვიდრეთ დაჯიჩენ „მოსე მწე-  
რალი“, „ქრისტიანე“, „სიმონა“ და „ჩვენნი  
ქვეყნის ჩაინდი“, რომელიც შენს ხსოვნას  
უკვდავად ჰქმნიან და იქადაგებენ შენს წადილს.  
ვიმეორებ, ინუგეშე, ძმაო ვენატე, რადგანაც შენი  
წადილი სომეხთა და ქართველთა ურთიერთობის  
კითხვის შესახებ თან-და-თან ძლიერდება. მოვა კი-  
დეც დრო, როდესაც ორი მებრძოელი ერი, ხელი-  
ხელს გადახეულნი წინ წაუღენ საკუთარი ენე-  
რითი ჩვენდა საკეთილდღეოთ...

დ. ტერ-დავითიანი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.



# განცხადებანი

## ტუილისს ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ 14 ივნისს 1894  
წელს შუადღეზე მოხდება ქალაქის გამგეობის დარ-  
ბაზში ვაჭრობა მუხრანისა და რიყის ქუჩებშუა  
მტკვარზე პორომის იჯარით გაცემისათვის პირველ  
იანვრიდან 1895 წლიდან სამი წლის ვადით, პირო-  
ბების შეტეობა შეიძლება თვით ქალაქის გამგეობის  
კანცელარიაში, დილის 10 საათიდან 12 სათამდის.

(2—1)

მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონ-  
ლის დაზღვევა ცეცხლისაგან. წესები, პირობები წე-  
რილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განუზა-  
რება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეო-  
ბაში, რომელიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის  
და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუნელის სა-  
ხლში, თუ არა თვით საზოგადოების ადენტის აღუ-  
ქანდრე პეტრეს ძის ზეურივისაგან, რომელიც დგას  
ველიამინოვის ქუჩაზე № 2.

### დავუღვამი საზოგადოება

## ი ა ტ ო რ ი (ღუშა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს, რომელ-  
საც ძირითადი თანხა 2,500,000 მანეთი აქვს, გა-  
რდა სულადის ფულისა, ამით აცხადებს, რომ მის  
მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრე-  
ბითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის,  
როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მიიღება ყოველნაირი მოძრაეისა და უძრავის  
ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან, აგრეთვე ზღვით-

**დანიშნა და ისქიძება**

წერა-კითხვის საზოგადოების და ამხანაგო-  
ბის წიგნის მალაზიებში

რ ა თ ე ი ს

**რამდენივე მოთხრობა**

ნათარგმნი სომხურიდან დ. ტერ-დავითიანის მიერ.

ფასი 25 კაპ.

მთარგმნელს უნდა მიმართონ შემდე-  
გი ადრესით: Тифлисъ, Ванскій пере-  
улокъ д. Месропова № 2.